



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.

გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო



გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები

საუკეთესო გამოცდილების
სახელმძღვანელო



გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოები

საუკეთესო გამოცდილების
სახელმძღვანელო

ავტორები:
ვასუ მოჰანი
კეტი რაიანი
სარა ბაიბლერი

დოკუმენტი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული ნებისმიერი, მოსაზრება, მიგნება, დასკვნა ან რეკომენდაცია ეკუთვნით მის ავტორებს და არ ასახავს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, აშშ-ს მთავრობის და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) შეხედულებებს.



გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო

საავტორო უფლება© 2014, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)

ყველა უფლება დაცულია.

ნებართვის შესახებ: IFES-ის წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია აღნიშნული დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის ნებისმიერი ფორმით და საშუალებებით (ელექტრონული ან მექანიკური) გამოყენება, მათ შორის: ფოტოასლების, ჩაწერისა და ინფორმაციის მოძიების სისტემების მეშვეობით.

- ნებართვის აღებისათვის საჭიროა შემდეგი ინფორმაციის წარდგენა:
- იმ მასალის აღწერა, რომლისთვისაც აღნიშნული დოკუმენტის გამოყენებას აპირებთ;
- აღნიშნული დოკუმენტის გამოყენების მიზანი და ის, თუ რა სახით იქნება გამოყენებული;
- თქვენი სახელი, პოზიცია, კომპანიის ან ორგანიზაციის სახელი, სატელეფონო ნომერი, ფაქსის ნომერი, ელექტრონული მისამართი და საფოსტო მისამართი.

ნებართვის აღების თხოვნით მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

International Foundation for Electoral Systems
1850 K Street, NW, Fifth Floor
Washington, DC 20006
E-mail: editor@ifes.org
Fax: 202.350.6701

ყველა ფოტო წარმოადგენს IFES-ის კუთვნილებას.

სარჩევი

წინასიტყვაობა		1
სექცია 1	შესავალი	3
სექცია 2	განმარტებითი ლექსიკონი	4
სექცია 3	განმარტებები ქალების პოლიტიკურ და გადანაცვლების მიღების პროცესებში ჩართულობისათვის	6
სექცია 4	ქალების პოლიტიკაში ჩართულობასთან არსებული გენდერული ბარიერები	8
სექცია 5	ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტები, სტანდარტები და ინიციატივები ქალთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის გაზრდისათვის	10
სექცია 6	საარჩევნო ადმინისტრაცია და ინსტიტუციონალური ზომები, სწორი პრაქტიკის მოდელირება	13
სექცია 7	საარჩევნო ციკლი	19
სექცია 7.1	სამართლებრივი ჩარჩო	21
სექცია 7.2	დაგეგმვა და განხორციელება	32
სექცია 7.3	განათლება და ტრენინგი	36
სექცია 7.4	ამომრჩეველთა რეგისტრაცია	44
სექცია 7.5	საარჩევნო კამპანია	50
სექცია 7.6	კენჭისყრის დღე და პროცედურები	54
სექცია 7.7	შედეგების შეჯამება	59
სექცია 7.8	არჩევნების შემდგომი პერიოდი	61
სექცია 8	გენდერი და შეზღუდული შესაძლებლობები	65
ბიბლიოგრაფია		73



წინასიტყვაობა

IFES-ის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორისგან

ხმის მიცემა ადამიანის ფუნდამენტური უფლებათა. ამომრჩევლისთვის საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, ნებისმიერი საარჩევნო ადმინისტრაციის ძირითადი მოვალეობაა. ადგილობრივმა აღწერებმა გვიჩვენა, რომ საარჩევნო ასაკის მქონე მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ქალები შეადგენენ. შესაბამისად, დროთა განმავლობაში პროცენტულად იზრდება ამომრჩეველ ქალთა რიცხვი.

გლობალური თუ ნაციონალური უსაფრთხოების, მშვიდობისა და სამართლიანობის მიღწევის საწინააღმდეგო არის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ქალების სრულფასოვანი და თანაბარი ჩართულობა. ამ მიზნის მიღწევა აბსტრაქტულად დარჩება, სანამ ქალთა ჩართულობა არ იქნება ბოლომდე უზრუნველყოფილი.

არცერთ სფეროში არ ენიჭება ქალთა ჩართულობას ისეთი მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის საარჩევნო პროცესებში, რადგან, როგორც მამაკაცების, ისე ქალების აქტიური პოლიტიკური მონაწილეობა თანაბრად აძლიერებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესს. საარჩევნო პროცესის ყველა დონეზე ქალებისა და მამაკაცების ერთიანი ჩართულობის მიუხედავად, განსხვავებული სქესის წარმომადგენლები არ ფიგურირებენ ხოლმე სხვადასხვა ტიპის საარჩევნო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს ყველაფერი კი უარყოფითად მოქმედებს ქალებზე, როგორც ამომრჩევლებზე, კანდიდატებზე და საარჩევნო ადმინისტრატორებზე.

მთელ მსოფლიოში საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობისას, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) მხარს უჭერს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. IFES-ი მუშაობს „მიანმარის საარჩევნო კომისიის გაერთიანებასთან“, რათა გააუმჯობესოს ქალთა აქტივობა საარჩევნო პროცესში. გენდერული ტრენინგებითა და ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფს ქალთა რაოდენობის ზრდას საარჩევნო მუშაობისას ჰაიტიზე; ახორციელებს „ქალთა ლიდერობის ტრენინგ-პროგრამას“ ინდონეზიის ექვს პროვინციაში, რათა გაზარდოს ქალთა წარმომადგენლობა და რაოდენობა საარჩევნო ადმინისტრაციაში. ზემოაღნიშნული და სხვა ინიციატივებით, IFES-ი მხარს უჭერს ქალებს, რათა მათ თავიანთი ხმა შემატონ დემოკრატიულ პროცესს. IFES-ის სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია საარჩევნო ადმინისტრაციის გასაძლიერებლად შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, რათა შეიქმნას ინკლუზიური საარჩევნო ადმინისტრაცია.

ქალთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მაქსიმალიზაციისათვის, საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია შეასრულოს გადამწყვეტი როლი მათ მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ ყველა აქტივობასა თუ ანალიზში გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

ქალთა სრულფასოვანი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქალებისათვის, არამედ იგი გავლენას ახდენს საზოგადოების სხვა სახის შესაძლებლობებსა და პოტენციალზეც. საარჩევნო ადმინისტრაციამ მხარი უნდა დაუჭიროს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, IFES-მა მოამზადა კიდევ ერთი გზამკვლევი, რომელიც შექმნილია ინკლუზიური საარჩევნო ინსტიტუტების გაძლიერებისათვის, რომლებიც საჭიროებენ საერთაშორისო დახმარებას.



უილიამ სუინი
საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES)
პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისაგან

საქართველოს მოსახლეობის 52%-ს ქალები შეადგენენ თუმცა, ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ეს არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა. მომავალი წლიდან ქალთა გაძლიერების საკითხი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის ხდება სტრატეგიული მიმართულება და მისი ასახვა მოხდება ჩვენს ხუთწლიან სტრატეგიულ გეგმაში. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ სამართლიანი საზოგადოების შექმნას, როდესაც ყველა მოქალაქე შეძლებს განვითარებას და საკუთარი პოტენციალის ბოლომდე რეალიზებას, ამ ყველაფრის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ ქალთა გაძლიერებით და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის წახალისებით.

ბოლო პერიოდში ცესკო გამოიკვეთა, როგორც გენდერულ საკითხთა სფეროში მომუშავე ლიდერი ორგანიზაცია. 2013-2014 წლებში ჩვენ განვახორციელეთ პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო არჩევნების კუთხით ქალთა გაძლიერებაზე. ცესკოს საქმიანობის სამი ძირითადი სამიზნე ჯგუფი არის ქალი ამომრჩევლები, ქალი კანდიდატები და საარჩევნო ადმინისტრაციაში მომუშავე ქალები. სამიზნე ჯგუფებში შემაჯალ ქალთა გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების გარდა, ცესკომ გამოაქვეყნა 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების სრული გენდერული სტატისტიკა. ჩვენ ვგეგმავთ რომ სტატისტიკური მონაცემების გენდერული კუთხით დამუშავებას რეგულარული ხასიათი მიეცეთ და განახლებული მონაცემები პერიოდულად მივაწოდოთ საზოგადოებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში, 2014 წელს ცესკომ გამოაქვეყნა ინფორმაცია ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ გენდერული კუთხით.

ჩვენ გვჯერა, რომ გენდერული მიმართულებით კიდევ ბევრი სამუშაოა წინ და ჩემი მიზანია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია გახდეს სამაგალითო ადმინისტრაციის ყველა დონეზე ქალთა თანაბარი წარმომადგენლობისა და გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის შემუშავების კუთხით. „გენდერული ბალანსი და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო“ მნიშვნელოვანი დამხმარე იქნება ჩვენთვის, როგორც ორგანიზაციისათვის, რომელიც მუშაობს სამომავლო სტრატეგიის შემუშავებასა და ინოვაციებზე. აღნიშნული სახელმძღვანელო წარმოადგენს მსოფლიოში არსებული წარმატებული გამოცდილების მაგალითების მდიდარ კრებულს, რომელთა მორგებაც შეიძლება ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობისათვის. ჩვენ გვეამაყება, რომ მასში ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობაც არის წარმოდგენილი. ცესკო პარალელურად მუშაობს არჩევნებისა და გენდერის საზაფხულო სკოლების კონცეფციის შექმნაზე, ასე რომ, ჩვენ შევეცდებით ეს სახელმძღვანელო მოხვდეს ამ სკოლების სასწავლო გეგმაში. დღეს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ახლო კავშირშია ერთმანეთთან, გენდერული გზამკვლევი იძლევა იდეებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას საარჩევნო ადმინისტრაციებსა და ჩართულ მხარეებს შორის.



თამარ ჟვანია
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

სექცია 1 შესავალი

ქალთა და მამაკაცთა, როგორც ამომრჩევლების, კანდიდატების, არჩეული ოფიციალური პირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პერსონალის სრულყოფილ ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლებიც სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენენ, ქმნიან დღეს არსებულს რეალობას. ქალთა გაძლიერებას დიდი პრიორიტეტი ენიჭება მთავრობის, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და ქალთა მოძრაობებს მხრიდან. ამ კუთხით ბევრი პოზიტიური ქმედება განხორციელდა, ბევრ ქვეყანაში ქალებს საშუალება აქვთ თავად ისაუბრონ საკუთარი ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესახებ. დღესდღეობით მსოფლიოში წარმოდგენილ საკანონმდებლო ორგანოების მხოლოდ 21,7%-ს წარმოადგენენ ქალები; ბევრ ქვეყანაში ისევ გრძელდება მათი მარგინალიზაცია, პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის შეზღუდვა. უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ საჭიროა გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმისათვის, რათა მივიღოთ გენდერული ბალანსი ზემოაღნიშნულ არენაზე. საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის ხარისხის განსაზღვრაზე, შესაძლებელია, დიდი მნიშვნელობა იქონიოს არსებულმა პოლიტიკამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ.

ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები წინასწარ განსაზღვრულად და პროაქტიურად ითვალისწინებდნენ გენდერს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. საარჩევნო პერიოდში მათ აქტივობებს, ანალიზის, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებს, ასევე მათ ურთიერთობას სხვა გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან. თუმცა, არსებობს საარჩევნო ადმინისტრაციის პოზიტიური მაგალითებიც, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიმართებაში. საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია გააკეთოს გაცილებით მეტი იმისათვის, რომ დაამყაროს გენდერული ბალანსი თავიანთ ორგანიზაციებში, ისე, როგორც საარჩევნო პროცესებსა და აქტივობებში.

მოცემული ბუკლეტი მიზნად ისახავს საარჩევნო ადმინისტრაციებსა და არჩევნების ორგანიზაციულ და მმართველობით პროცესებში ჩართულ სტრუქტურებს მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია იმ რესურსების შესახებ, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციას დაეხმარება გენდერული საკითხებისადმი ერთიანი მიდგომების დამკვიდრებაში.

მსგავსი მიდგომის შემუშავებით, საარჩევნო ადმინისტრაციები მთავარ როლს შეითავსებენ ქალების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მაქსიმალიზაციისათვის, რის შედეგადაც, მივიღებთ მეტად წარმომადგენლობით და დემოკრატიულ საზოგადოებას. მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებით, მოცემული ბუკლეტი განსაზღვრავს იმ მთავარ ქმედებებს, რომლებიც საარჩევნო პროცესის თითოეულ ნაბიჯზე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ უნდა გადაიდგას, რათა მოხდეს ამ პროცესში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება და მათზე დაყრდნობით პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრა-განხორციელება.

სექცია 2 განმარტებითი ლექსიკონი

ტერმინი	განსაზღვრება
საარჩევნო წრე	ანალიტიკური მიდგომა, რომელიც განიხილავს არჩევნებს, როგორც განგრძობად და არა იზოლირებულ პროცესს.
საარჩევნო ადმინისტრაცია (EMB)	ორგანიზაცია ან სტრუქტურა, რომელიც იქმნება იმ მიზნით, რომ კანონიერად იყოს პასუხისმგებელი საარჩევნო პროცესების ჩატარებასა და მართვაზე.
არჩევნებში ჩართული მხარე, დაინტერესებული მხარე	ნებისმიერი პერსონა ან ჯგუფი, რომელსაც გააჩნია დიდი ინტერესი, ან რაიმე გარკვეული მოლოდინი საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან. არჩევნებში ჩართული მხარე შეიძლება იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის პერსონალი, პოლიტიკურ პარტიები და კანდიდატები, მთავრობა აღმასრულებელ შტოები, სამოქალაქო ორგანიზაციები, საარჩევნო დამკვირვებლები, ადგილობრივ საზოგადოება და უმცირესობები.
გენდერი	სქესის სოციალური მნიშვნელობა, რომელიც აღნიშნავს ქალისა და კაცის სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს ქცევის ფორმებთან დაკავშირებით.
გენდერული ბალანსი	ქალსა და მამაკაცს შორის პარიტეტის პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელება
გენდერული თანასწორობა	სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობას სხვადასხვა ტიპის რესურსის და სარგებლის განაწილებისას; ხელმისაწვდომობა ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტსა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებზე.
გენდერული მენისტრირინგი/ინტეგრაცია	ინტეგრაციის პროცესი გულისხმობს ორივე სქესისათვის თანაბარი სარგებლის მიღების მიზნით, ქალთა და მამაკაცთა მოსაზრებების გათვალისწინებას ნებისმიერი აქტივობის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების დროს. ეფექტური გენდერული მენისტრირინგი მიზნად ისახავს, მოიცვას ის განსხვავებული ბარიერები, რომლებსაც ქალები და კაცები აწყდებიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საზოგადოების განვითარების პროცესებში მონაწილეობისას, რათა ორიენტირებულია ორივე სქესმა თანაბარი სარგებელი მიიღოს და არ დამკვიდრდეს უთანასწორობა

ტერმინი	განსაზღვრება
გენდერულად პოზიტიური	მიზანმიმართული აქტივობები და ინტერვენციები, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერული თანასწორობის დანერგვას და მიმართულია იმ ბარიერების გადალახვაზე, რომლებიც ხელს უშლიან ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას.
გენდერულად პერსპექტიული	მოიცავს მოსაზრებებს თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გენდერულმა მიდგომებმა ურთიერთობებზე; პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში მონაწილეობაზე; ქალების და კაცებისათვის განსხვავებული შესაძლებლობებზე
გენდერულად სენსიტიური ანუ გენდერულად მგრძნობიარე	დაგეგმვისა და განხორციელების მიმართ მიდგომები, რათა მოხდეს ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებს, ინტერესებს და გამოწვევებს შორის არსებული გენდერული განსხვავებების იდენტიფიცირება და მათი გავლენა გენდერულ თანასწორობაზე
გენდერულად სპეციფიკური	დაწვრილებითი აღწერა, თუ რამდენად არის მიმართული კონკრეტული აქტივობა, გეგმა თუ სტრატეგია გენდერულ საკითხებზე
სქესი	ბიოლოგიური მახასიათებელი, რომელიც ყოფს ადამიანებს ქალებად და კაცებად
ქალთა გაძლიერება	უფლება ქალებმა თავად მიიღონ გადაწყვეტილებები და განსაზღვრონ არჩევანი; ხელმისაწვდომობა შესაძლებლობებსა და რესურსებზე; ძალაუფლება თავად აკონტროლონ საკუთარი ცხოვრება; შესაძლებლობა გავლენა მოახდინონ სოციალური ცვლილების მიმართულებებზე.

სექცია 3 განმარტებები ქალების პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობისათვის

ქვეყნის პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალები და მამაკაცები წარმოდგენენ სრულფასოვან და აქტიურ მონაწილეებს. ქალთა და მამაკაცთა შორის დისკრიმინაციის არარსებობა და თანაბარი უფლებები ყველა სფეროში, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრება არის ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპები. ეს უფლებები დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონალური სამართლით, რომელთა საფუძველიც გახდა 1948 წლის „ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია“ (UDHR) და რომლის პირველ მუხლშიც მითითებულია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორი თავის ღირსებებსა და უფლებებში“.

ადამიანის უფლებების პრინციპებზე დამორჩილება არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც უნდა მიეცეთ ქალებს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. არსებობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მიზეზები, თუ რატომ უნდა იყვნენ ქალები წარმოდგენილი ზემოთ ხსენებულ პროცესებში. პირველი – ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ ნახევარი შედგება ქალებისაგან. ქვეყანა ვერ ჩაითვლება სრულად დემოკრატიულად თუ ქალები არიან მარგინალიზირებულები სრულფასოვანი და თანაბარი მონაწილეობის, პოლიტიკური და გადაწყვეტილების მიღების პროცესებისგან. „დემოკრატიის უნივერსალური დეკლარაციის“ მე-4 მუხლზე დაყრდნობით, საპარლამენტათაშორისო კავშირი ამბობს: „დემოკრატიის მიღწევა მოითხოვს თანამშრომლობას მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივ ურთიერთობებში, სადაც ისინი მუშაობენ თანაბარ პირობებში მიუხედავად მათი განსხვავებებისა“.

მეორე – ქალთა ჩართულობა ქვეყნის გადაწყვეტილების მიღების და მმართველობის პროცესში წარმოდგენს აუცილებლობას იმისათვის, რომ შეიქმნას აქტიური საზოგადოება. ამის გათვალისწინება ასევე ხშირად მოიცავს მათ ოჯახებს, მათი პერსპექტივების გაფართოებას. მამაკაცებთან შედარებით, ქალებს გააჩნიათ განსხვავებული გამოცდილებები, საჭიროებები და პერსპექტივები. ქალთა ჩართულობა და ზემოაღნიშნულ განსხვავებებზე ფოკუსირება, გვეხმარება უზრუნველყოთ მეტად წარმომადგენლობითი საზოგადოების შექმნა, სადაც პოლიტიკისა და პროგრამების განვითარების პროცესში ქალთა და გოგონათა მოთხოვნები გათვალისწინებულია. აღსანიშნავია, სადაც ქალები მეტად არიან ჩართულნი, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობებისა და მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები, საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი ნაკლებად ფიქსირდება და ადამიანები მეტად ტოლერანტულნი არიან. ამ ყველაფერს გააჩნია დადებითი გავლენა ქალებზე, მამაკაცებზე, გოგონებსა და ბიჭებზე.

საბოლოო ჯამში, ქალთა ჩართულობას ეკონომიკური სარგებელიც მოაქვს. მთავარი ინსტიტუტები, როგორებიც არიან „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი“, „მსოფლიო სოციალური ფორუმი“, „აზიის ეკონომიკური და სოციალური კომისია“, „პასიფიკ და „მაკინსი და კომპანია“, ძირითადი გლობალური საკონსულტაციო ფირმა, თანხმდება, რომ გენდერული თანასწორობა წინ უძღვის ყველა განვითარებულ საზოგადოებას და უკეთე-

ცხადია, რომ დემოკრატიული მმართველობა ვერ იქნება ბოლომდე მიღწეული ქალების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის გარეშე“

ჰელენ კლარკი, UNDP -ს ადმინისტრატორი, ახალი ზელანდიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

სად წარმოდგენილ ბიზნესს¹. საარჩევნო ადმინისტრაციები არ წარმოადგენენ ბიზნესს, მაგრამ მათ ხშირად უწევთ მილიონობით დოლარის მქონე ბიუჯეტის განაწილება, ისინი პასუხისმგებელნი არიან თავინთი ქვეყნის მოქალაქეების წინაშე, მაქსიმალურად ეფექტურად მართონ და დახარჯონ ზემოთ ხსენებული ფინანსები; საქმიანობის ყველა მიმართულებით ქალთა ჩართულობა ესმარება მათ ამ შედეგის მიღწევაში.

მოკლედ რომ ითქვას, ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობა პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში არ წარმოადგენს თემას, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა აიტაცოს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ქალთა ჩართულობას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. მის გარეშე ვკარგავთ, როგორც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას, ასევე უფრო მეტად ჩართული, დემოკრატიული და განვითარებადი საზოგადოების მშენებლობის შანსს.

„ჩვენს დროში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიღმა, არსებობს ფაქტი, რომელიც არის შეუქცევადი: იმ ქვეყნებსა და კომპანიებში, სადაც გენდერული თანასწორობა უფრო მაღალია, მაღალია განვითარების და პროდუქტიულობის დონეც ... განვითარებაში კი უფრო მეტი ჩართულობაა, რაც ყველას გვაძლევს სარგებელს.“

მიშელ ბენელეტი, ჩილეს პრეზიდენტი და UN Women-ის დირექტორის ყოფილი მოადგილე

¹ ლევის კ., გენდერული დივიდენდი: ბიზნესის საქმე გენდერული თანასწორობისათვის., ნიუ იორკი, 2011 <http://www.unwomen.org/~media/Headquarters/Media/Publications/en/UNWomenTheGenderDividend.pdf>

სექცია 4 ქალების პოლიტიკაში ჩართულობასთან არსებული გენდერული ბარიერები

ქალთა ჩართულობას საარჩევნო პროცესებში ხშირად აბრკოლებს სხვადასხვა პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ბარიერები. საარჩევნო ადმინისტრაციისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს და დადგინდეს ზემოთ ხსენებული პრობლემები, თითოეული ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე.

გენდერულად მგრძნობარე საარჩევნო პროცესისა და პროცედურების ეფექტურად განვითარებას ყველაზე მეტად ეხმარება ის კვლევები და ანალიზები, რომლებიც მზადდება ქალთა ჯგუფებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად.



პირველი ბარიერი, რომელიც ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას უკავშირდება არის ის, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალებს უფრო ხშირად, არ აქვთ მოქალაქეობის დამადასტურებელი, დაბადების ან ქორწინების მოწმობა, რომლებიც ესაჭიროებათ ხმის მიცემისათვის. ეროვნულ კანონმდებლობაში გენდერულად მგრძნობიარე მუხლები და სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტების არარსებობა ხელს

უწყობს ამ ბარიერს. კანონებმა და კოდექსებმა, ნათლად უნდა განსაზღვრონ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულ ქალთა უფლებების დაცვა და აკრძალონ გენდერული დისკრიმინაცია საარჩევნო პროცესში.

მეორე ბარიერს წარმოადგენს ქალებისთვის ნაკლებ რესურსებზე წვდომა, რაც გულისხმობს დროსა და ეკონომიკურ რესურსებს. ისეთი გენდერული როლები, როგორიცაა ქალების მიერ ბავშვებზე ზრუნვა და საშინაო საქმეების მოწესრიგება, ხშირად ზღუდავს ქალს გამოიყენოს დარჩენილი თავისუფალი, მცირე დრო და ჩაერთოს პოლიტიკურ აქტივობებში. საარჩევნო რეგისტრაცია და ხმის მიცემის პროცედურა, ხშირად უკავშირდება ხანგრძლივ მოსაცდელ დროსა და მნიშვნელოვან მანძილს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ქალის ზემოხსენებულ პასუხისმგებლობებთან. მსგავსი შემაფერხებელი ფაქტორები პრობლემას უქმნის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს, ორსულებს, მოხუცებს და სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ უმცირესობებს და ცხოვრობენ ცენტრალური რეგისტრაციის ადგილიდან დიდი მანძილის დაშორებით². ასევე, სიღარიბეში მყოფი ქალების მაღალი კოეფიციენტი და რესურსებზე კონტროლის სიმცირე, ზღუდავს მათ შესაძლებლობებს გადაადგილდნენ, როგორც კანდიდატები, ამომრჩევლები, არჩევნების დამკვირვებლები და პარტიის წევრები. ქალის ქმედითობაზე მოქმედებს ეკონომიკურ ფაქტორებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. მამაკაცებთან შედარებით, ქალებს ნაკლებად აქვთ იმის შესაძლებლობაც, რომ დაუთმონ დრო საარჩევნო კამპანიას.

ქალთა და მამაკაცთა გენდერულ როლებზე კიდევ უფრო დიდ გავლენას ახდენს კულტურა, რელიგია და ტრადიციები, რომლებიც ხანდახან ზღუდავენ ქალების დამოუკიდებლობას ან აფერხებენ მათ ისარგებლონ თავიანთი არჩევანისა და ხმის მიცემის უფლებით. ზოგიერთ ტრადიციას, განათლებისა და წიგნიერების დაბალ დონემდე მივყავართ. ცოდნასთან დაკავშირებული ბარიერები ხელს უწყობს სამოქალაქო და პოლიტიკური ცნობიერების სიმცირეს.

ზემოთ ჩამოთვლილ ბარიერებს ემატება განსაკუთრებული გენდერული საფრთხეები. საარჩევნო უბნებზე ქალი პერსონალის სიმცირეს განაპირობებს არასაიმედო სამგზავრო მარშუტები და ცუდი ინფრასტრუქტურა, ეს ხელს უშლის ქალების მონაწილეობას საარჩევნო კამპანიებსა და სხვა ღონისძიებებში, ასევე აბრკოლებს მათ მიიღონ მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში. ზემოხსენებული მრავალფეროვანი ბარიერები, რომლებიც ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას უკავშირდება, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას საარჩევნო წრეებში.

2 IFES და NDI (2014). „თანაბარი ხელმისაწვდომობა: როგორ ჩავართოთ შშმპ არჩევნებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში“
http://www.ifes.org/~media/Files/Publications/Books/2014/Equal%20Access_How%20to%20include%20persons%20with%20disabilities%20in%20elections%20and%20political%20processes.pdf

სექცია 5 ძირითადი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტები, სტანდარტები და ინიციატივები ქალთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის გაზრდისათვის

ქალთა უფლებები, მამაკაცებთან ერთად, თანაბარ პირობებში, სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ეს უფლებები აღიარებულია საერთაშორისო და რეგიონული სამართლის ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა “ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია”, „საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, „გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე“ და „კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ“.

ზემოხსენებული საერთაშორისო ინსტრუმენტების შემავსებელ რეგიონულ მექანიზმებს წარმოადგენენ „ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ“, „აფრიკული ქარტია ადამიანისა და ხალხის უფლებების შესახებ“.

ასევე, არსებობს ხელშეკრულებები, რომლებიც მოქმედებენ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთაც ადგილი უკავიათ ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებში, როგორიცაა „ეუთო“, „სამხრეთ აფრიკული განვითარების საზოგადოება“, „დასავლეთ აფრიკის შტატების ეკონომიკური საზოგადოება“ და „ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება“. არსებული რეგიონული ხელშეკრულებები ასევე მოიცავენ მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც უკავშირდება გენდერულ თანასწორობას და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები უზრუნველყოფენ ვალდებულებებსა და საერთაშორისო ნორმებს გენდერული თანასწორობისა და

საქართველოს ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები, შეთანხმებები გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სფეროში

ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია (რეტიფიცირებულია 1991 წელს);
კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (რეტიფიცირებულია 1994 წელს);

საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (რეტიფიცირებულია 1995 წელს);

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ (რეტიფიცირებულია 2013 წელს).

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ კონვენცია – სტამბულის კონვენცია (რეტიფიცირებულია 2014 წელს)

კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ (რეტიფიცირებულია 2005 წელს)

ქალთა უფლებების დასაცავად, რათა სუსტი სქესის წარმომადგენლები სრულფასოვნად ჩაერთონ საჯარო ცხოვრებაში. თუ ქვეყანა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტთან ხელშეკრულებაზე მომწერ მხარეს, მაშინ იგი ვალდებულია, შეასრულოს მისი დებულებები, რომლებიც უნდა აისახოს ქვეყნის შიგნით არსებულ კანონსა და პოლიტიკაზე.

ასევე არსებობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი გლობალური სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც უკავშირდება გენდერს და მოიცავს: „მილენიუმის განვითარების მიზნებსა“ და „პეკინის პლატფორმას ქმედებისათვის“, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული „გაეროს მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, ქალების შესახებ“.

„პეკინის პლატფორმა ქმედებისათვის“ განსაზღვრავს მთავარ პრიორიტეტებსა და სახელმძღვანელოებს, რათა მიღწეულ იქნას თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები ქალებისა და გოგონებისათვის, იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ყველა არსებული დაბრკოლება, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურ მონაწილეობას. „მილენიუმის განვითარების მიზნები“ წარმოადგენს რვა ურთიერთდაკავშირებულ საერთაშორისო განვითარების მიზანს, რომლებიც 2015 წლამდე უნდა იქნას მიღწეული. მესამე მიზანია – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალების გაძლიერება“, რაც ხაზს უსვამს გენდერულ თანასწორობას, როგორც გლობალურ პრიორიტეტს. ამ მიზნისათვის, პროგრესის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საზომს წარმოადგენს „ეროვნულ პარლამენტებში წარმოდგენილი ადგილების პროპორცია, ანუ ქალთა რაოდენობა საკანონმდებლო ორგანოში“. ზემოხსენებული დამატებითი ჩარჩოები, აყალიბებენ უმაღლეს სტანდარტებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს საუკეთესო პრაქტიკების საფუძველზე.



ეს სურათი წარმოადგენდა იმ სერიების ნაწილს, რომელიც გამოიყენებოდა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საზოგადოებისათვის ხმის მიცემის სწავლებისას.

ზემოხსენებული ინსტრუმენტები და ჩარჩოები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან საფუძველს, საიდანაც თითოეულმა ქვეყანამ ინდივიდუალურად უნდა განავითაროს კანონი, პოლიტიკა და პრაქტიკა, რათა მოხდეს პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობა. ასევე მნიშვნელოვანია, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა იცოდნენ იმ საერთაშორისო და რეგიონულ – სამართლებრივ ინსტრუმენტების ზემოქმედებების შესახებ, რომლის მონაწილეც მისი ქვეყანაა. აუცილებელია, იმ ინიციატივების მნიშვნელობის და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის ცოდნაც, რომლითაც ხდება გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და პროგრამების განვითარება. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საარჩევნო კანონები და პროცესები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ძირითადი დებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაცია (1948)

მუხლი 21

1. ყველა ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მმართველობაში, პირდაპირი ან საყოველთაო წესით არჩეული წარმომადგენლების სახით.
2. ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სერვისებზე საკუთარ ქვეყანაში.
3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966)

მუხლი 25

თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვების გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა:

- ა) მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით.
- ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნას საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას.
- გ) თავის ქვეყანაში თანასწორ პირობებში შეეძლოს სახელმწიფოს სამსახურში შესვლა.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979)

მუხლი 7

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, კერძოდ, ქალისათვის, მამაკაცის თანასწორად, უზრუნველყოფენ უფლებას:

- ა) ხმა მისცეს ყველა არჩევნებსა და რეფერენდუმში, არჩეულ იქნას ნებისმიერ სახალხო არჩეულ ორგანოში;
- ბ) მონაწილეობდეს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და ეკავოს სახელმწიფო თანამდებობა, აგრეთვე, ახორციელებდეს ნებისმიერ საჯარო ფუნქციას, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დონეზე;
- გ) მონაწილეობდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემებით არიან დაკავებული.

გაეროს უშიშროების საბჭო 1325 (2000)

მუხლი 1

გაეროს უშიშროების საბჭო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს უზრუნველყონ ქალების წარმომადგენლობითი რიცხვის ზრდა გადაწყვეტილების მიღების, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე, ასევე შეიმუშავონ კონფლიქტის პრევენციის, მართვისა და გადაწყვეტის მექანიზმები.

სექცია 6 საარჩევნო ადმინისტრაცია და ინსტიტუციონალური ზომები, სწორი პრაქტიკის მოძიება

ტერმინი საარჩევნო ადმინისტრაცია გამოიყენება იმ ორგანოს ან ორგანოებს აღსანიშნად, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საარჩევნო მენეჯმენტის განხორციელებაზე, თუმცა შესაძლოა მათ საქმიანობის უფრო ფართო მანდატიც ჰქონდეთ. როგორც არჩევნების ერთი ან მეტი ძირითადი ელემენტის მართვის მიზნით შექმნილ და მათზე სამართლებრივად პასუხისმგებელ ორგანიზაციებს ან ორგანოებს, საარჩევნო ადმინისტრაციებს განსხვავებული სახელები (როგორიცაა: „საარჩევნო კომისია“, „არჩევნების დეპარტამენტი“, „საარჩევნო საბჭო“, „არჩევნების სამმართველო“ ან „საარჩევნო საბჭო“), ინსტიტუციონალური ჩარჩოები და ზომები აქვთ.

საარჩევნო ადმინისტრაციებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ გენდერული თანასწორობის განვითარებაში, არა მხოლოდ ძირითადი მოქმედებების მართვითა და არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცესებით, არამედ შიდა მენეჯმენტის პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვითაც. საარჩევნო ადმინისტრაციებს დემოკრატიული პროცესების წინა ხაზზე ყოფნა, აძლევს საშუალებას გახდნენ მაგალითი, როგორ უნდა მოხდეს თავად ინსტიტუციის მიერ გენდერული თანასწორობის გაგება და ერთგულება.

საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების საუკეთესო გამოცდილება

ა) გენდერული ანალიზი, გენდერული აუდიტი

საარჩევნო ადმინისტრაციებში გენდერული პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტურად დანერგვისათვის საჭიროა, თავდაპირველად მოხდეს გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ვითარების კარგად გაგება და გარკვეული ბაზის შექმნა. უნდა ჩატარდეს ანალიზები, რომლებიც ასევე მოიცავენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და ახალგაზრდა ქალების მდგომარეობის შესწავლას. აღნიშნული დაგეგმარება გამოვარკვით, რა კეთდება სწორად შიდა და გარე დონეებზე, ასევე დავადგინოთ ის სფეროები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. აღნიშნული უნდა განხორციელდეს საკითხზე ორიენტირებული პირის ან გუნდის მიერ. პროცესი კარგად უნდა იყოს დაგეგმილი და ითვალისწინებდეს მთავარ სფეროებს შემდგომი კვლევისათვის. კვლევის მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს გენდერთან დაკავშირებული სათანადო კანონმდებლობის შესწავლას საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში და საარჩევნო აქტივობების ყველა პროცესის თუ სისტემის გადახედვას, მათი გენდერულ პრინციპებთან შესაბამისობის ხარისხის დადგენის მიზნით. აღნიშნული ასევე გულისხმობს შეხვედრებს, ფოკუს ჯგუფის დისკუსიებს, ანდა ფორმალურ გამოკითხვებს იმ საარჩევნო პროცესების შემაფერხებელ გარემოებებზე, რომლებიც ხვდებათ ამომრჩეველ, კანდიდატ, დამკვირვებელ, ხმის მიცემის პროცესში მონაწილე და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელ ქალებს.

ბ) გენდერული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

გენდერული ანალიზების საფუძველზე, საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია შეიმუშაოს ორგანიზაციის გენდერული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერილი იქნება კონკრეტული მიზნები და სამიზნე ჯგუფები შიდა მენეჯმენტისა და ინსტიტუციონალური განვითარებისათვის, გარე მოქმედებებისა და კონკრეტული საარჩევნო ოპერაციებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას შემუშავებული ჰქონდეს თანასწორობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს და მოახდენს გენდერულ, ასაკობრივ, ქმედით, რასობრივ-ეთნიკურ, რელიგიურ, ორსულობის საწყისებზე ჩადენილი დისკრიმინაციის პრევენციას.

გ) გენდერული ერთეული, საკოორდინაციო ცენტრი

იმისთვის, რომ გაძლიერდეს ქალების მონაწილეობა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ყველა მიმართულებით, მიზანშეწონილია შეიქმნას გენდერული ერთეული ან საკოორდინაციო ცენტრი. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერზე გამოყოფილმა პირმა უზელმძღვანელოს და მონიტორინგი გაუწიოს გენდერული ინიციატივების განხორციელებას, განიხილოს თუ რა გავლენა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკასა და პროგრამებს როგორც ქალებზე, ასევე კაცებზე.

დ) თანამშრომელთა გენდერული ბალანსი

განურჩევლად იმისა, მოითხოვს თუ არა კანონმდებლობა, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყოს თანამშრომელთა შორის გენდერული ბალანსის დაცვა. საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალებს უნდა ეკავოთ ნებისმიერი თანამდებობა და არა მხოლოდ დაბალი პოზიციები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალების ჩართულობას ისეთი მარგინალური ჯგუფებიდან, როგორებიცაა ეთნიკური უმცირესობები და ქალები შეზღუდული შესაძლებლობებით. გადაწყვეტილების მიმღებ და სამენეჯერო პოზიციებზე მყოფ ქალებს, საარჩევნო რეგულაციებისა და პროცედურების შემუშავების და დადგენის დროს, შეუძლიათ უზრუნველყონ ქალთა საჭიროებების გათვალისწინება. საარჩევნო ადმინისტრ-



რაციამ უნდა შეაფასოს ქალი თანამშრომლების რესურსი, ქალების მიერ დაკავებული პოზიციები და თუ აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციაში არის გენდერული დისბალანსი ან ქალი თანამშრომლების დენადობა, მაშინ უნდა გაარკვიოს ამის მიზეზები.

ქალთა გამოჩენა ასპარეზზე

საარჩევნო ადმინისტრაციებს შეუძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი და აიძულონ პარტიები შემოიღონ სპეციალური ზომები და კვოტები. საარჩევნო ადმინისტრაციებს ასევე შეუძლიათ კვოტირების სისტემის დანერგვით უზრუნველყონ ქალთა წარმომადგენლობა საარჩევნო მენეჯმენტში. სომხეთში, სავალდებულოა კომისიის შვიდი წევრიდან ორი იყოს ქალი. შესაბამისად, 2014 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირების 42% იყო ქალი. მსგავსი ვითარებაა ალბანეთშიც, სადაც 30%-იანი კვოტის არსებობის გამო 2014 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობების 29% ქალებმა დაიკავეს. გენდერული კვოტების დანერგვა საარჩევნო ადმინისტრაციებს აძლევს შესაძლებლობას, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის მოახდინოს საუკეთესო გენდერული პრაქტიკის მოდელირება.

წყარო: IFES (2014 წლის აპრილი). ქალები საარჩევნო ადმინისტრაციაში: ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთში, რუსეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, საარჩევნო ადმინისტრაციებში ქალთა მონაწილეობის და პოზიციების ანალიზი.

არსებობს გარკვეული ზომები და მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია საარჩევნო ადმინისტრაციებმა მიაღწიონ გენდერულ ბალანსს, მაგალითად:

- **მიზნები და კვოტები:** მიზნად შეიძლება დაფიქსირდეს საარჩევნო ადმინისტრაციებში სხვადასხვა დონეზე ქალთა წარმომადგენლობის მინიმალური პროცენტული მაჩვენებელი. გადაწყვეტილების მიღების დონეზე, იდეალური პროცენტული მაჩვენებელია 50%; მინიმალურ ზღვარს 30% წარმოადგენს.
- **სამსახურში აყვანის პოლიტიკა:** საარჩევნო ადმინისტრატორის დანიშვნის კრიტერიუმები და საგანმანათლებლო მოთხოვნები არ უნდა იყოს მაღალი, რადგან აღნიშნულმა, შესაძლოა, არახელსაყრელ პირობებში ჩააყენოს ქალი აპლიკანტები იმ ქვეყნებში, სადაც ქალები მამაკაცებზე ნაკლებად განათლებულები არიან. საარჩევნო ადმინისტრაციებმა, რომლებიც განიცდიან ქალი თანამშრომლების ნაკლებობას და ამასთანავე არ აქვთ თავისუფლება თავად დაიქირაონ თანამშრომლები, უნდა შეიმუშაონ პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკა, რაც გულისხმობს ქალი კანდიდატისათვის უპირატესობის მინიჭებას, თანაბარი კომპეტენციების არსებობის შემთხვევაში.
- **ქალ აპლიკანტთა ბაზის განვითარება:** საარჩევნო ადმინისტრაციებს შეუძლიათ მიიღონ გადამჭრელი ზომები, ქალ აპლიკანტთა მონაცემთა ბაზის გაფართოების მიზნით. მაგალითისთვის, შეუძლიათ გასწიონ სპეციალური მუშაობა ქალთა ჯგუფებთან და სტუდენტ გოგონებთან.

- **განცხადებები სამუშაოს შესახებ** უნდა განთავსდეს ისეთ ადგილებში, სადაც ქალები ნახავენ მათ. განცხადება უნდა მოიცავდეს ტექსტს თანაბარი შესაძლებლობების შესახებ, რაც წაახალისებს ქალებს.
- **ტრენინგი:** იმისთვის, რომ გაიზარდოს საარჩევნო ადმინისტრატორის თანამდებობის დაკავების მსურველ ქალთა ბაზა, ქალთა ჯგუფების კომპეტენციების გაზრდის მიზნით, სააპლიკაციო პროცედურების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები.
- **ქალებისათვის მისაღები თანამდებობები:** საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია მოახდინოს იმ თანამდებობის იდენტიფიცირება, რომლებიც მისაღებია ქალებისათვის, მათ შორის, დაოჯახებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მარგინალური ეთნიკური ჯგუფების და ახალგაზრდა ქალებისათვის და მოახდინოს შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა.
- **მამაკაცებთან ერთად მუშაობა:** მამაკაცებმა, განსაკუთრებით კი სახალხო და რელიგიურმა ლიდერებმა, უნდა გამოხატონ მხარდაჭერა იმ ქალებისადმი, რომლებსაც სურთ საარჩევნო ადმინისტრაციებში მუშაობის დაწყება.



ე) საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების გენდერული ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება

საარჩევნო ადმინისტრაციის კომისიის წევრებისა და თანამშრომლებისათვის უნდა გაიმართოს ტრენინგები, რათა საარჩევნო ადმინისტრაციებთან მიმართებით გაუმჯობესდეს გენდერული თანასწორობის და გენდერული მეინსტრიმინგის მნიშვნელობის

აღქმა. BRIDGE-ის³ ტრენინგ-მოდული გენდერზე, წარმოადგენს შესანიშნავ ტრენინგ-პროგრამას, რომლის ადაპტირებაც შესაძლებელია საარჩევნო ადმინისტრაციის საჭიროებების შესაბამისად. ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაციებმა უნდა უზრუნველყონ, ორგანიზაციის მასშტაბით, ყველა თანამშრომლის ინფორმირება თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის არსებობის შესახებ და გაითავისონ მათი დაცვის მნიშვნელობა.

ვ) თანამშრომელთა განვითარება და ლიდერული პროგრამები საარჩევნო ადმინისტრაციის ქალ თანამშრომელთათვის

ქალებს შეუძლიათ მიიღონ გარკვეული სარგებელი თანამშრომელთა უნარების ან ლიდერული თვისებების განვითარების პროგრამებში მონაწილეობით. აღნიშნული პროგრამები უნდა მოერგოს ქალთა საჭიროებებს. მაგალითად, ტრენინგი საჯარო გამოსვლაში, დამაჯერებლობაში და ა.შ.

ზ) დეტალური ინფორმაციის შედარება

საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტისათვის უნდა შეიქმნას სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სეგრეგირებული მონაცემების (მათ შორის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ) საინფორმაციო ბაზის შექმნა. მონაცემთა ბაზა უნდა მოიცავდეს პირად მონაცემებს, შიდაორგანიზაციული და გარე აქტივობებისთვის. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვანია ქალთა მონაწილეობის დონის განსაზღვრის მონიტორინგისათვის. მისი საშუალებით ასევე გამოიკვეთება ის სფეროები, სადაც საჭიროა დამხმარე ღონისძიებების გატარება.

თ) გენდერული ბალანსი საარჩევნო ადმინისტრაციების ტრენინგებში

საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია დანერგოს კარგი პრაქტიკა და ტრენინგების დროს დაიცვას მონაწილეთა და ტრენერთა გენდერული ბალანსი. ადმინისტრაციამ ასევე უნდა უზრუნველყოს ტრენინგებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების ჩართულობა. ნებისმიერი ტრენინგის შინაარსი უნდა იყოს გენდერულად მგრძნობიარე.

ი) ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული საარჩევნო ადმინისტრაციის შენობები

მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე პრაქტიკული საკითხები. მაგალითად: ტუალეტების მოწყობა ცალკე ქალებისათვის და ცალკე მამაკაცებისათვის; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა; საარჩევნო ადმინისტრაციის შენობების მიმდებარე ტერიტორია და ავტოსადგომები უნდა იყოს კარგად განათებული, საარჩევნო შენობების შიგნით გამოკრული ყველა პოსტერი და სურათი კი გენდერულად სენსიტიური.

კ) კომუნიკაცია საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის

საარჩევნო ადმინისტრაციებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და წარმატებული გამოცდილება. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს კომისიის წევრების დონეზე და გენდერული საკოორდინაციო ცენტრების საშუალებით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მოხდეს გენდერულ საკითხების შესახებ ინფორმაციის გაცვლა სავსე დონეზე მომუშავე რეგიონულ ოფისებს შორის.

³ დემოკრატიის, მმართველობის და არჩევნების სფეროებში რესურსების განვითარება, სატრენინგო მოდული რომელიც ფოკუსირებულია საარჩევნო პროცესებზე

ქალთა ჩართულობის გზამკვლევი ნეპალში

საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობა, ტრადიციულად, ძალიან დაბალი იყო ნეპალში. 2008 წლის კონფლიქტის შემდგომ გამართულ ამომრჩეველთა ასამბლეის არჩევნებისათვის მოხდა პრობლემის შემცირებაზე ფოკუსირებული ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფდა არჩევნებში ქალების (როგორც კანდიდატების, ამომრჩევლის, არჩეულის და საარჩევნო მუშაკის) მონაწილეობის ზრდას. გარდა ამისა, კანონმდებლობაში ჩაიწერა გენდერული ხასიათის ისეთი ნორმები, რომელთა შედეგადაც, ამომრჩეველთა ასამბლეის წევრთა 33% ქალი გახდა. კანონმდებლობაში ასევე გაიწერა, რომ რეგისტრირებული ამომრჩევლების, არჩევნებში მონაწილე მოხალისეებისა და საარჩევნო პერსონალის, სულ მცირე, 50%-ს ქალები უნდა წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ნეპალის საარჩევნო კომისიამ დაადასტურა, რომ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციონალიზაცია კვლავ რჩება უმთავრეს გამოწვევად. შედეგად, 2010 წელს ნეპალის საარჩევნო კომისიამ განახორციელა ყოვლისმომცველი და ამომწურავი აღწერა. აღწერის შედეგად გამოვლინდა საარჩევნო ციკლის სხვადასხვა ეტაპსა და საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული დისბალანსის გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გულისხმობდა შემდეგს: საარჩევნო კომისიის სტრატეგიულ და პოლიტიკის მიმართულებებში გენდერული საკითხი შეიძენდა პრიორიტეტულ მნიშვნელობას და შესაბამისი მექანიზმები ამოქმედდებოდა ამ დაწესებულებაში; მოხდებოდა ნეპალის საარჩევნო კომისიაში და ამომრჩეველთა ასამბლეაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის უზრუნველყოფა; გენდერთან დაკავშირებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიზაცია; გენდერის მონიტორინგისა და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემების შექმნა; გენდერული კომპონენტის გათვალისწინება ყველა სახის საარჩევნო პროცესში და აქტივობაში. ნეპალის საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა არსებული რეკომენდაციები და ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები კომისიის საქმიანობაში, გენდერის ინტეგრირებისათვის. კერძოდ:


- გენდერისა და ჩართულობის პოლიტიკის გატარების დამტკიცება 2013 წლის აგვისტოში;
- გენდერის და ჩართულობის უწყების დაარსება 2014 წლის მარტში; აღნიშნული მოიცავდა აქტივობების კოორდინაციას, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკური პარტიების ლიდერებსა და ლიდერ ქალებს შორის კომუნიკაციის განვითარებაზე და მიზნად ისახავდა ნეპალის საარჩევნო კომისიაში შექმნილი ახალი უწყების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
- BRIDGE ტრენინგების ჩატარება 249 ადამიანისთვის გენდერზე;
- მეტი ინტერაქციისთვის „რეგულარული დისკუსიების პროგრამის“ წახალისების ხელშეწყობა ნეპალის საარჩევნო კომისიის, სამოქალაქო საზოგადოების და არჩევნებში ჩართულ მხარეთა შორის. დისკუსიები მოიცავდა სხვადასხვა თემას – დაწყებული გენდერული და საარჩევნო საკითხების პრეზენტაციებით, დამთავრებული 2014 წლის ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნით;
- გენდერული ხასიათის ქმედებების, მიზნებისა და ამოცანების ასახვა ნეპალის საარჩევნო კომისიის ხუთწლიან სტრატეგიულ გეგმაში;
- გენდერულად სენსიტიური ქმედებების განხორციელება 2013 წლის ნოემბერში, ამომრჩეველთა ასამბლეის საარჩევნო პროცესისათვის, რის შედეგადაც ქალი კანდიდატების 30% აირჩიეს (575 ქალიდან – 172).

სექცია 7 საარჩევნო ციკლი

საარჩევნო ციკლი არის საერთაშორისოდ აღიარებული მექანიზმი, რომელიც ვიზუალურად წარმოაჩენს საარჩევნო პროცესის ძირითად კომპონენტებს. წრის თანახმად, არჩევნების დაგეგმვა და განხორციელება არის წრიული პროცესი და არა ერთჯერადი, იზოლირებული მოვლენების სერია. იგი იყოფა ფაზებად, რომლებიც მიმდინარეობენ ხმის მიცემამდე, ხმის მიცემის და ხმის მიცემის შემდგომ პერიოდებად.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, შეიძლება გაცნოთ ფაზებთან დაკავშირებულ სპეციფიკურ აქტივობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ზოგადი პროცესი, რომელიც გადადის ერთი ფაზიდან მეორეში, არსებობს კავშირები სხვადასხვა აქტივობებს შორის და არის იმისი მოლოდინიც, რომ რიგი აქტივობები სხვადასხვა ფაზებიდან გადაკვეთენ ერთმანეთს, მაგალითად, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ამომრჩეველთა განათლება, საარჩევნო დავის მოგვარება და ა.შ.



საარჩევნო ციკლი
წყარო: International IDEA


საარჩევნო ციკლი მმართველი რგოლის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი მექანიზ-
მია. მას წინ უძღვის ალქმა იმისა, რომ თითოეული ციკლის დაწყება განპირობებულია
წინა ციკლის გამოცდილების გათვალისწინებით, რაც უკავშირდება იმას, რომ ყოველი
მომდევნო ციკლის გაუმჯობესება და გაფართოებაა შესაძლებელი.

შემდეგი ქვეპუნქტებით შეუძლიათ იხელმძღვანელონ საარჩევნო ადმინისტრაციებმა
საარჩევნო ციკლის თითოეული ფაზის გათვალისწინებით და იმ კონკრეტული ქმედ-
ებების იდენტიფიცირებით, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს გენდერულ
თანასწორობას საარჩევნო აქტივობებში და ქალთა მონაწილეობის მაქსიმალურად
ზრდას. დრო არჩევნებს შორის, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციები ნაკლები ზეწო-
ლის ქვეშ იმყოფებიან, განსაკუთრებით პროდუქტიულია აღნიშნულის განსახორცი-
ელებლად.

არჩევნების შემდგომი

პერიოდი

წინასაარჩევნო პერიოდი



საარჩევნო პერიოდი

სექცია 7.1 სამართლებრივი ჩარჩო

ტერმინი – „არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო“ მოიცავს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა შესაბამის საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტს. კერძოდ, „არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო“ მოიცავს შესაბამის საკონსტიტუციო დებულებებს, საარჩევნო და ყველა შესაბამის კანონს, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნებზე.⁴ სამართლებრივი ჩარჩო არეგულირებს საარჩევნო ციკლის ყველა ეტაპს და შესაბამისად, შეუძლია გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რამდენად არადისკრიმინაციულად ეპყრობიან ქალებს და რამდენად სრულყოფილად მონაწილეობენ ისინი საარჩევნო პროცესებში. მაგალითად, ხმის მიცემის უფლების შესახებ გაწერილი წესებით შესაძლოა შეიქმნას წარმოდგენა თუ როგორ შეუძლიათ ქალებს დარეგისტრირდნენ არჩევნებზე ხმის მისაცემად; საშუალებებს, რომლითაც პოლიტიკური პარტიები ახდენენ კანდიდატების დასახელებას და კამპანიის დაფინანსებასთან წვდომას, შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ ქალებზე, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში; საარჩევნო კანონმდებლობაში არსებულმა მიდგომამ და დადგენილმა კვოტებმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს არჩეული ქალების რაოდენობაზე; ხოლო იმ გზებს, რომელთა მიხედვითაც საარჩევნო დავა წარიმართება, ნებისმიერ სტადიაზე შეუძლიათ განსაზღვრონ რამდენად სამართლიანად და თანასწორად ეპყრობიან ქალებს საარჩევნო პროცესში.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის გადამწყვეტია ჩართულობა ადვოკატირებაში, პროექტების მომზადების, გადახედვისა და საარჩევნო კანონმდებლობის დანერგვაში, რათა უზრუნველყოს სამართლებრივი ჩარჩოსა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებთან საარჩევნო პროცესის ყველა სტადიაზე.


ა) სამართლებრივი ჩარჩოს აღქმა არჩევნებისა და გენდერული ჩართულობისთვის

სამართლებრივი ჩარჩოს დონეები

სამართლებრივი ჩარჩო შედგება უფლებამოსილებათა სხვადასხვა დონეებისგან. იდეალურ შემთხვევაში, თითოეული დონე უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმგვარად, რომ უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა სრული მონაწილეობა. საარჩევნო ადმინისტრაციებმა უნდა უზრუნველყონ ამ წესების რეალიზება არჩევნების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. გენდერულ თანასწორობასა და არჩევნებთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებების დეტალები და სპეციფიკა უნდა ფართოვდებოდეს თითოეულ დონეზე.

ფართო გაგებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა რეგულირდება საერთაშორისო და რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტებით. ეს ხაზს უსვამს საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებს, რომელთა შესრულებაც ნაკისრი აქვს ქვეყნებს და რომლებიც ქმნიან საფუძველს არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოსთვის. როგორც მე-5 ნაწილშია აღნიშნული, არსებობს ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც არჩევნებისა და ქალთა მონაწილეობის რელევანტურია, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია, საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლი-

4 IDEA (2002). საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტები: არჩევნებისათვის საკანონმდებლო ჩარჩოს სახელმძღვანელო http://www.idea.int/publications/ies/upload/electoral_guidelines.pdf



ტიკური უფლებების შესახებ (რომელიც იცავს ყველას უფლებას მისცენ ხმა და იყვნენ არჩეულნი), კონვენცია ქალთა მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ და კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ, რომელიც კრძალავს ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დისკრიმინაციას. აღნიშნულ საერთაშორისო ინსტრუმენტებს შეუძლიათ გააძლიერონ გენდერული ასპექტები, რაც ხელს შეუწყობს ქალების მონაწილეობას არჩევნებში. მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციებმა განამტკიცონ საერთაშორისო აღიარებული პრინციპები და გაზარდონ მოქალაქეების ცნობიერება საერთაშორისო კანონმდებლობითა და დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებებისა და დაცვის მექანიზმების თაობაზე.

გარდა ამისა, ქვეყნის უმაღლესი კანონი – კონსტიტუცია – ითვალისწინებს ძირითად ელემენტებს ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოსთვის. კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები უნდა მოიცავდეს ხმის მიცემისა და არჩევის თანაბარ უფლებებს; უნდა ადგენდეს არჩევნების ისეთ სისტემებს, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციას მიაწოდებს ძალაუფლებას იყოს არჩევნების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტი. როდესაც კონსტიტუცია არის ადამიანის უფლებებისა და ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის გარანტი, საარჩევნო ადმინისტრაციას ეძლევა შესაძლებლობა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა არჩევნებში მონაწილე მხარეების მიერ.

კონსტიტუციიდან გამომდინარე, საარჩევნო კანონმდებლობა წარმოადგენს სახელმძღვანელო სამართლებრივ ინსტრუმენტს არჩევნების ჩატარებისთვის. საარჩევნო კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები პირდაპირ დაკავშირებულია საარჩევნო პროცესთან (როგორცაა კანონი პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეობის, მედიის, კამპანიის დაფინანსების და ა.შ.) და ითვალისწინებს დეტალურ დებულებებს არჩევნების ჩატარებისა და კიდევ უფრო კონკრეტულ სამართლებრივ ბაზას საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობისთვის. საარჩევნო კანონები, რომლებიც ხელს უწყობს არადისკრიმინაციულობას, კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ

უფლებებთან შესაბამისობას, წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს საარჩევნო ადმინისტრაციების საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის.

საარჩევნო კანონების ძირითადი ნაწილი მოიცავს დათქმას საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის, რათა მათ განავითარონ და გამოსცენ სამართლებრივად მავალდებულებელი რეგულაციები და დირექტივები იმისთვის, რომ დარეგულირდეს საარჩევნო მენეჯმენტის კონკრეტული საკითხები, გამოსწორდეს და აღმოიფხვრას სამართალში არსებული ნებისმიერი ხარვეზი, ჩამოყალიბდეს მკაფიო პროცედურა არჩევნების ჩატარებისთვის. შესაძლებლობის შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ადამიანის უფლებათა სამართალს, რათა განავითარონ ის რეგულაციები, რომლებიც აძლიერებს ანტიდისკრიმინაციასა და გენდერულ თანასწორობას.



მოცემული ფოტო არის ნეპალში ხმის მიმცემთა განათლების პროგრამის ნაწილი. ის აღწერს ხმის მიცემის პროცესს სურათების გამოყენებით, რომლებშიც გამოსახულნი არიან ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

საბოლოოდ, საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია განავითაროს ან ხელი შეუწყოს მხარეთა ქცევის კოდექსს: პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო პროცესზე მომუშავე პირებს, დამკვირვებლებს, უსაფრთხოების სამსახურს და მედიას, რათა დაცული იქნას საარჩევნო კანონები და რეგულაციები. ქცევის კოდექსს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მხარეთა ქცევის მართვაში, ქალებისა და სხვა მარგინალური ჯგუფების დისკრიმინაციის აღკვეთაში. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის. აგრეთვე მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ეფექტური მექანიზმი ქცევის კოდექსის ამოქმედებისთვის, რათა ქალებისა და სხვა მარგინალური ჯგუფების უფლებების დაცვა პრაქტიკაში განხორციელდეს.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული გენდერული ნორმები

ეროვნული კანონები და საკონსტიტუციო ნორმები

- ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა გარანტირებულია კონსტიტუციით
- აკრძალულია სქესის ნიშნით ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია საზოგადოებრივ/სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში
- სახელმწიფო მოითხოვს მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეეწყოს სქესის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას
- ფინანსური წახალისება გათვალისწინებული იმ პოლიტიკური პარტიებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ პარტიულ სიებში ქალთა რაოდენობის ზრდას

საერთაშორისო ნორმები

საქართველომ ხელი მოაწერა და შეუერთდა ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტს, მათ შორის:

- გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW)
- საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)
- კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ (CPRD)
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას 1325 ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

კვოტები და სპეციალური მექანიზმები

სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნა ირჩევს სხვადასხვა სახის გენდერულ კვოტას არჩევნებისას, რეალურად მსოფლიოს ქვეყნების ნახევარი იყენებს რომელიმე ტიპის საარჩევნო კვოტას პარლამენტისთვის.“

კვოტირების პროექტი

გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების საგრძნობლად დაბალი წარმომადგენლობის შესამცირებლად და გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის CEDAW მიზანშეწონილად მიიჩნევს სპეციალური ზომების გამოყენებას. საარჩევნო კონტექსტში სპეციალური ზომები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს. მათი სათანადოდ დანერგვის და განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა, სპეციალური ზომა აღმოჩნდეს ძალიან ეფექტური საშუალება საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის წასახალისებლად⁵. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კვოტებს სულ უფრო ხშირად იყენებენ ის ქვეყნები, სადაც პოლიტიკურ პროცესებში ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილები. კვოტების გამოყენების შედეგად გლობალურად გაიზარდა ქალთა რაოდენობა პარლამენტში. საარჩევნო ადმინისტრაციები თამაშობენ გადამწყვეტ როლს, რათა აიძულონ დაინტერესებული მხარეები შეასრულონ კვოტების ან სხვა სპეციალური ზომების (მათ შორის დარეგულირებული ადგილების, საკანონმდებლო კვოტის და პარტიული ნებაყოფლობითი კვოტის) გამოყენებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ კვოტების თემა დებატებს იწვევს. უმრავლესობა თანხმდება, რომ კვოტები ზრდის ქალთა წარმომადგენლობას, მაგრამ ზოგიერთის აზრით, კვოტები შეიძლება იყოს მხოლოდ რაოდენობის საზომი და კონტრპროდუქტიული, რადგან ახდენს პოლიტიკაში ჩართულ ქალთა პრივილეგირებას.

საარჩევნო სისტემა განსაზღვრავს, როგორ გარდაიქმნება არჩევნების დროს დათვლილი ხმები პარტიისა თუ ინდივიდუალური კანდიდატის მიერ დაკავებულ პოზიციებად. სხვადასხვა სახის საარჩევნო სისტემებს შესაძლოა ჰქონდეთ ფარული გავლენა გენდერულ თანასწორობაზე, რაც საბოლოოდ აისახება ქალთა არასათანადო წარმომადგენლობითობაში. ისეთი სპეციალური მექანიზმების გამოყენება, როგორიც კვოტებია, შეიძლება ინტეგრირებული იქნას საარჩევნო სისტემაში და ამ პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმაროს.

კვოტები და საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემების ძირითადი სახეებია პროპორციული, მაჟორიტარული ან შერეული სისტემა. ზოგადად, პროპორციული საარჩევნო სისტემა მეტად უწყობს ხელს ქალთა არჩევასა თუ დანიშვნას და გენდერული კვოტების გამოყენებას, ვიდრე

⁵ გაერო, „ქალი და არჩევნები“, 2005

უბრალო უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა.⁶ ამის მიზეზი კი ის არის, რომ მაჟორიტარულ სისტემაში მხოლოდ ერთი ადგილი არის თითო პოლიტიკური კანდიდატისთვის და პარტიები წარმატების მისაღწევად უმეტესად მამაკაცებს წარადგენენ. პროპორციული სისტემის პირობებში კი პარტიები წარადგენენ სიას და უფრო მეტი შანსი არსებობს ამ სიაში ქალების მოხვედრის, რათა პარტიამ მოიცვას ამომრჩეველთა უფრო ფართო კონტიგენტი.⁷

კვოტებისა და სპეციალური მექანიზმების ძირითადი სახეები

დარეზერვებული ადგილები არის გარანტი, რომ მოხდება განსაზღვრული რაოდენობით ქალების არჩევა საკანონმდებლო დონეზე. მაშინ, როცა ქალებს შეუძლიათ სხვა ადგილებისთვისაც იყარონ კენჭი, ამ კონკრეტული დაკავებული ადგილებისთვის მხოლოდ ქალები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. დაკავებული ადგილები ძირითადად არსებობს მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებში. ისინი, ძირითადად, განსაზღვრულია კონსტიტუციაში ანდა საარჩევნო კანონმდებლობაში და განხორციელებული უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ.

საკანონმდებლო კვოტები მოითხოვს პოლიტიკური პარტიებისგან პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებში, საარჩევნო სიებში დააფიქსირონ მინიმალური პროცენტულობა ქალებისა (და კაცების). იმისთვის რომ, ეს ეფექტური იყოს, ქალები უნდა მოხვდნენ საარჩევნო სიების „არჩევად“ ნაწილში. „დაბალანსებული“ სია, ანუ სია, სადაც ქალი და კაცი კანდიდატები თანაბრად არიან წარმოდგენილი, არის საუკეთესო გზა, რომ გარანტირებული იყოს ქალების არჩევა, განსაკუთრებით თუ დახურული სისტემის სიები არის გამოყენებული. ასეთი სახის კვოტას, შესაძლოა, რეალური შედეგი ჰქონდეს, განსაკუთრებით თუ საარჩევნო ადმინისტრაცია ეფექტურად ახორციელებს პარტიების ჩართულობას.

მოხალისეობრივი კვოტები: იმ შემთხვევაში მიმართავენ ამ სახის კვოტებს, თუ არ არსებობს სამართლებრივი საარჩევნო მოთხოვნები. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური პარტიები თვითონ აწესებენ კვოტებს საკუთარი სიებისთვის. ასეთი სახის კვოტები ფართოდ გამოიყენება და წარმატების სხვადასხვა მაჩვენებელი აქვს ქვეყნების მიხედვით, ისინი ხორციელდება თითოეული პარტიის შიდა რეგულაციებთან თანხმობით და არ შეიძლება თავსმოხვეული იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ.

პროპორციულ სისტემაში, სხვადასხვა ფაქტორებს შეუძლია განაპირობოს ქალთა წარმატება და ასევე კვოტების შემოღება. მაგალითად, დახურული სიის გამოყენება ღია სიის მაგივრად, სადაც პოლიტიკური პარტია წყვეტს კანდიდატთა რიგითობას და ამომრჩეველებს არ შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი სიმპათია რომელიმე კონკრეტული კანდიდატის მიმართ. აღნიშნული ვითარება ზრდის ქალების შანსს, მიაღწიონ წარმატებას და გაიმარჯვონ არჩევნებში. ქალი კანდიდატები მოწინავე პოზიციებზე უნდა იყვნენ, როგორც დახურულ, ისე ღია სიაში, რომ ისინი აირჩიონ.

⁶ გაეროს მშვიდობისმყოფელი ოპერაციების დეპარტამენტი, „პოსტ-კონფლიქტურ საარჩევნო პროცესებში ქალების როლის გაზრდის ერთობლივი სახელმძღვანელო“

⁷ გაერო, „ქალი და არჩევნები“, 2005

ქალი კანდიდატების მზარდი რაოდენობა მაჟორიტარული სისტემაში არ ზრდის ქალთა არჩევის შანსს. ასეთი ტიპის საარჩევნო სისტემაში ქალთა ჩართულობის გასაზრდელად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია კვოტების გამოყენება და საარჩევნო ადმინისტრაციის ჩართულობა გენდერული კუთხით.

კამპანიის დაფინანსება

ქალთა შეზღუდული წვდომა საარჩევნო კამპანიის ფინანსებზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია გენდერული თანასწორობისთვის. ეს ძირს უთხრის ქალების უნარს ეფექტურად მართონ კამპანია და თავიანთი პოსტის შესაბამისი აპარატი. მსოფლიოში ქალები ნაკლებ ეკონომიკურ რესურსებს განაგებენ, ვიდრე კაცები. იმის გამო, რომ პოლიტიკურ სფეროში ძირითადად დომინირებენ ცალკეული პირები თუ ჯგუფები, რომლებსაც აქვთ უკეთესი წვდომა რესურსებისადმი, ქალთა ჩართულობა, როგორც პოლიტიკური კანდიდატებისა, ასევე კაცებისა და ქალების წარმომადგენლობითობა უმცირესობათა ჯგუფებიდან შეზღუდულია, რესურსების ნაკლებობის გამო.⁸ მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ფინანსური რეგულაციები არასოდეს მუშავდება გენდერული პრინციპების გათვალისწინებით. უმეტესად, ასეთი სახის რეგულაციები იქმნება იმისათვის, რომ შემცირდეს ფინანსურად შეძლებული კანდიდატების უპირატესობა, შექმნან თანაბარი პირობები, აღმოფხვრან კორუფცია, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენება და გაზარდონ გამჭვირვალობა. იმისთვის რომ, გაიზარდოს ქალთა ჩართულობა, ეს რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მნიშვნელობას.

ფინანსური ინიციატივები საქართველოში

გამომდინარე იქიდან, რომ ქალთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ზოგადად ძალიან დაბალია, რთულია დაზუსტებით შეაფასო, რა სახის წვდომა აქვს ქალებს კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

რამდენიმე წლის წინ საქართველოს მთავრობამ გამოთქვა ინიციატივია იმის შესახებ, რომ გაზრდილიყო ქალთა წილი არჩეულ კანდიდატებში. 2011 წელს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე, მოხდა ცვლილებები მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში, რათა გაზრდილიყო ქალთა წარმომადგენლობა პარტიულ სიებში. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ფინანსური წახალისების ოდენობა იმ პარტიებისათვის, ვინც უზრუნველყოფდა ქალთა მინიმუმ 30%-იან წარმომადგენლობას პარტიულ სიაში.

თანასწორი დაფინანსების პირობების შექმნა, შესაძლებლობას აძლევს ქალ კანდიდატებს, ჰქონდეთ თანაბარი შანსი ჩაატარონ კამპანია და პოპულარიზაცია გაუწიონ საკუთარ თავს. შესაძლებელია, ისეთი მექანიზმების შემოღება, რომელიც გაათანაბ-

⁸ პოლიტიკური დაფინანსება და გენდერული თანასწორობა: IFES-ის თეთრი ფურცელი, ლოლიტა სიგანი და მაგნუს ომანი, აგვისტო 2014. <http://www.ifes.org/Content/Publications/Articles/2014/Political-Finance-and-Gender-Equality.aspx>.

რებს კამპანიის ჩატარების პირობებს, რაც გააუმჯობესებს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას და ხელს შეუწყობს რესურსების თანაბარ განაწილებას ქალებსა და კაცებს შორის. ასევე, გარკვეული ზომები უნდა გატარდეს ნულოვანი ჯამის ტიპის პოლიტიკის მიმართ, რომელიც ზრდის კონკურენციას პოლიტიკური დაფინანსების რესურსებისთვის და ქალებს ნაკლებად კონკურენტულად ხდის.⁹



გენდერულად მგრძნობიარე ცვლილებებმა, შეიძლება გააუმჯობესოს საარჩევნო პროცესში თანასწორობის დონე. ამის შედეგად, ნაკლები ყურადღება დაეთმოთ კანდიდატთა ფინანსურ სტატუსსა თუ სქესს, რადგან, უმეტესად, საარჩევნო ადმინისტრაცია აწესებს კამპანიის ფინანსურ რეგულაციებს. კამპანიისთვის გენდერულად მგრძნობიარე ფინანსური რეგულაციების დაწესებით მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ პოლიტიკოს ქალ კანდიდატებისათვის თანაბარი პირობების შექმნას.¹⁰ ასეთმა რეგულაციებმა შესაძლებელია დადებითი გავლენა იქონიონ ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკურ ჩართულობაზე უმცირესობების მხრიდან.

საარჩევნო დავის გადაწყვეტა

შეუძლებელია, რომ საარჩევნო პროცესში ყველაფერი შეუფერხებლად და გამართულად მიმდინარეობდეს, აუცილებლად წამოიჭრება საარჩევნო დავა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. საარჩევნო საჩივრების განმხილველი ორგანოს ძირითადი ფუნქცია არის სანდოობისა და საიმედოობის შენარჩუნება. მას აქვს მოქმედების სამართლებრივი უფლება, როგორც ცალკეულ პირებთან, ასევე შესაბამის სტრუქტურებთან. ეს მექანიზმი უნდა მოიცავდეს სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ უფლებას და

⁹ პოლიტიკური დაფინანსება და გენდერული თანასწორობა: IFES-ის თეთრი ფურცელი, ლოლიტა სიგანი და მაგნუს ომანი, აგვისტო 2014. <http://www.ifes.org/Content/Publications/Articles/2014/Political-Finance-and-Gender-Equality.aspx>

¹⁰ პოლიტიკური დაფინანსება და გენდერული თანასწორობა: IFES-ის თეთრი ფურცელი, ლოლიტა სიგანი და მაგნუს ომანი, აგვისტო 2014. <http://www.ifes.org/Content/Publications/Articles/2014/Political-Finance-and-Gender-Equality.aspx>

უნდა წარმოადგენდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებას. ეს არის საბაზისო სტანდარტი, რომელიც აღიარებულია უამრავი საერთაშორისო და ადგილობრივი ხელშეკრულებებითა და კოდექსებით.¹¹

საარჩევნო დავის განკარგვის პროცესი არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იმის დასადგენად, იყო თუ არა არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი. ქალებს და მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი წვდომა დავის მოგვარების პროცესზე. სამწუხაროდ, წვდომა ფორმალურ სამართლებრივ სისტემებში უფრო შეზღუდულია ქალებისთვის, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც მათი გადაადგილება შეზღუდულია. გენდერული მგრძნობიარობის გაზრდის გარდა, ფორმალურ სამართლებრივ სისტემებში ალტერნატიული გადაწყვეტილების მექანიზმები და სხვა გადაჭრის გზებიც უნდა მოვიზიაროთ, რომ წავახალისოთ პროცესებზე ხელმისაწვდომობა ქალებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში დავის გადაწყვეტის განსხვავებული მექანიზმი ფუნქციონირებს, ყველა ეტაპზე (საჯარო ინფორმაციის მოპოვება იქნება ეს, საჩივრის შეტანა, საჯარო მოსმენაში მონაწილეობა თუ ეფექტური გადაწყვეტილების მიღება) უნდა იქნას გათვალისწინებული ის პოტენციური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ქალთა თანაბარ ხელმისაწვდომობას და უნდა მოხდეს მუშაობა ამ ბარიერების გადასალახად.

ბ) საარჩევნო ადმინისტრაციის საუკეთესო გამოცდილებები, რათა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა სამართლებრივ ჩარჩოში

საარჩევნო რეგულაციები, უმეტესად, შედგენილია იუსტიციის სამინისტროს წევრების და სხვა ადგილობრივი კანონმდებლების მიერ. საარჩევნო კანონების მომზადებისას, საარჩევნო ადმინისტრაცია ხშირად აძლევს კანონმდებლებს რჩევებს ან სთავაზობს სხვადასხვა იდეებს. თუ შესაძლებელია, საარჩევნო ადმინისტრაციამ ადვოკატირება უნდა გაუწიოს გენდერულ საკითხებს და იმუშაოს კანონმდებლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან. მხარი დაუჭირონ გენდერულ თანასწორობასა და უზრუნველყონ ქალთა უფლებების დაცვა შემდეგ სფეროებში:

საარჩევნო კანონი

- მოხდეს საარჩევნო კანონის და სხვა რელევანტური კანონმდებლობების გენდერულ ჭრილში განხილვა, რათა დადგინდეს არის თუ არა ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში მოსული საერთაშორისო და რეგიონულ დოკუმენტებთან; არის თუ არა სამართლებრივი ჩარჩო გამჭვირვალე და ხომ არ არის შესაძლებელი მისი თვითნებური ინტერპრეტაცია. უნდა განისაზღვროს ნებისმერი სფერო, რომელიც საჭიროებს დაზუსტებას, ხელახალ შემუშავებას ან ხარვეზის შევსებას ახალი რეგულაციით და საკანონმდებლო რეფორმით.
- ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამის ორგანოსთან თანამშრომლობით უნდა გაკეთდეს საჭირო შესწორებები, რათა მოხდეს კანონმდებლობაში ქალთა უფლებების სრული ასახვა და საარჩევნო პროცესში ქალთა ჩართულობის მაქსიმალიზაცია.
- უნდა განავითარონ გენდერულად მგრძნობიარე საარჩევნო კანონები და რეგულაციები, ეს განსაკუთრებით ეხება ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო კამ-

11 GUARDE, 2011.

პანიას, კამპანიის დაფინანსებას, კენჭისყრის პროცედურას, ხმების დათვლასა და დავების გადაწყვეტას. ზემოაღნიშნული პროცესები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო პრინციპებს. ამ პროცესში უნდა ჩაერთონ გენდერის ექსპერტები და ქალთა ჯგუფები, რათა უზრუნველყონ თანასწორი გარემო ამომრჩეველი, კანდიდატი და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრი ქალებისათვის.

- განავითარონ სისტემა, რომელიც გამოიძიებს, ალკვეთს და გამოასწორებს კანონის შეუსრულებლობას.

სპეციალური მექანიზმები, კვოტები

- ქვეყნებში, სადაც ქალთა არასათანადო წარმომადგენლობა რეალურ პრობლემას წარმოადგენს, განიხილონ ისეთი სპეციალური სამართლებრივი მექანიზმების შემოტანა და დანერგვა, როგორიცაა კვოტა.
- სპეციალური მექანიზმების იდენტიფიცირებისა და დანერგვის პროცესში, განსაკუთრებული მუშაობა უნდა წარიმართოს დაინტერესებულ მხარეებთან – ქალთა ჯგუფებთან და პოლიტიკური პარტიებთან. ქვეყნის სიტუაციის გათვალისწინებით, კარგად უნდა იქნას გაგებული საკითხი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. უნდა განისაზღვროს, რომელი ტიპის მექანიზმი იქნება ყველაზე მეტად ეფექტური და რა პრობლემები შეიძლება წამოიჭრას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ამ მექანიზმების გამოყენებისას.
- არჩევნების ექსპერტებთან მუშაობა უნდა იყოს მთელი პროცესის შემადგენელი ნაწილი. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებისა და საუკეთესო გამოცდილებების შესწავლით უნდა მოხდეს იმის გარკვევა, თუ რა შესაძლებლობები არსებობს და რა ტიპის გავლენებს მოიცავს ესა თუ ის სპეციალური ზომა.
- კვოტის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს სანქციებს მისი შეუსრულებლობისათვის, ასევე ინტერპარტიულ დონეზე უნდა იყოს დანერგილი მონიტორინგის, რეგულირების და განხორციელების სისტემა.

საარჩევნო სისტემები

- საარჩევნო სისტემების შესახებ დისკუსიების განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს ქალთა საჭიროებების განხილვა, არსებული საარჩევნო სისტემები არ არის გენდერულად ნეიტრალური.
- საარჩევნო პროცესში ჩართულ ძირითად მხარეებთან და საარჩევნო სისტემების ექსპერტებთან უნდა წარიმართოს განსაკუთრებული მუშაობა, რათა სრულიად იქნას გაგებული სხვადასხვა საარჩევნო სისტემაში არსებული გენდერული თავისებურებები.
- პროპორციული სისტემის პირობებში, სწორად და ფრთხილად უნდა შეფასდეს ისეთი ფაქტორის გავლენა, როგორიცაა დახურული სია. იმისათვის, რომ განისაზღვროს ქალთა წარმომადგენლობაზე შესაძლო გავლენის დონე, ამ ტიპის საკითხების განხილვა უნდა მოხდეს კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკაციის გათვალისწინებით.

კამპანიის დაფინანსება

- უნდა მოხდეს ადვოკატირება, რათა ხელი შეეწყოს საარჩევნო კამპანიებისთვის გენდერულად მგრძნობიარე ისეთი ფინანსური რეგულაციების შემოღებას, როგორიც არის სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა ქალი და მამაკაცი კანდიდატების თანაბარი ნომინირებისათვის და კამპანიის დანახარჯებზე ზედა ზღვრის დაწესება. სპეციალური რეგულაციები უნდა დაწესდეს ხარჯების და დაფინანსებების გამჭვირვალობის და დაწესებული რეგულაციების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საარჩევნო დავის გადაწყვეტა

- შესაბამის მხარეებთან უნდა წარიმართოს მუშაობა, რომ საარჩევნო დავის გადაწყვეტის მექანიზმები იყოს გენდერულად მგრძნობიარე და დავის გადაწყვეტის პროცესში ქალებს და კაცებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა და წარმომადგენლობითობა.
- უზრუნველყონ ქალთა ინფორმირება საარჩევნო დავის მოგვარების პროცესის შესახებ, ამომრჩეველთა განათლების გამაძლიერებელი მეშვეობით.
- გაუწიონ ქალებს საჭირო მხარდაჭერა საჩივრის შეტანისას და დარწმუნდნენ, რომ ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაცია და ზეწოლა, რომელიც შეიძლება განიცადონ დავის გადაწყვეტის პროცესში, მყისიერად მოგვარდება.

გარდა ამისა, რადგან საარჩევნო კანონები ექვემდებარება კანონმდებლობას, საარჩევნო ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს რეალური კონტროლი მარეგულირებელ ინსტიტუციურ ჩარჩოზე. მათ ხელეწიფებათ:

- რეგულაციების, დირექტივების, მიმართულებების და ქცევის კოდექსის შემუშავება, რათა გაძლიერდეს გენდერულად მგრძნობიარე საარჩევნო კანონები, უზრუნველყონ გენდერული თანასწორობა საარჩევნო პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე, საარჩევნო ციკლის მიმდინარეობისას.
- აღასრულონ კანონები და კანონდარღვევის შემთხვევაში დააჯარიმონ კანონდამრღვევი. ხშირად, გენდერთან დაკავშირებული დადგენილებების დარღვევა არ აღიქმება ისე მნიშვნელოვნად, როგორც სხვა ტიპის დარღვევები.

სპეციალური მექანიზმების შემუშავებით რუანდა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში

2014 წელს ქალებმა რუანდის პარლამენტის ზედა პალატის 40, ხოლო ქვედა პალატის 64 პროცენტი დაიკავეს. ეს მაჩვენებელი ყველა ქვეყნისთვის მიღწევა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ხმის მიცემის უფლება ქალებმა რუანდაში 1961 წელს მოიპოვეს. კვოტამ, რომელიც გაწერილია საარჩევნო კანონში და კონსტიტუციაში, შესაძლებელი გახდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა.

2003 წელს მიღებული რუანდის კონსტიტუცია მოიცავს რამდენიმე გენდერულ დებულებას, მათ შორის ისეთებს, რომლებიც პირდაპირ არის გაწერილი CEDAW-ში. კონსტიტუცია ასევე აწესებს 30%-იან კვოტას ქალებისთვის ყველა წარმომადგენლობით ორგანოში და მოუწოდებს პოლიტიკურ ორგანიზაციებს აწარმოონ საარჩევნო განათლება, რათა ქალებისა და კაცებისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი იყოს პოლიტიკური თანამდებობები. 2007 წელს პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების შესახებ კანონში მიღებული შესწორებით პარტიის საარჩევნო სიაში მინიმუმ 30 % ქალი უნდა იყოს. ამ ინიციატივების კომბინაციამ რუანდა ქალთა პოლიტიკაში წარმომადგენლობის კუთხით მსოფლიო ლიდერი გახდა.

სექცია 7.2 დაგეგმვა და განხორციელება

იმისათვის, რომ გენდერული ფაქტორი გათვალისწინებული იყოს ყველა საარჩევნო პროცესში, ასევე თუ გავითვალისწინებთ საარჩევნო პროცედურების სირთულეს, აუცილებელია, რომ არჩევნების წარმმართველმა ორგანომ გენდერი და სხვა ჩართულობის საკითხები განიხილოს საარჩევნო ციკლის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის სტადიაზე.

საუკეთესო პრაქტიკა, საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებები გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმვისა და იმპლემენტაციისთვის

ა) დაგეგმვა

- არჩევნებამდე ჩატარდეს საარჩევნო პროცესის გენდერული ანალიზი და მოხდეს იმ სფეროების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებენ გამოსწორებას. ანალიზი უნდა ჩატარდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ გენდერულ კვლევებზე დაყრდნობით და უნდა მოიცავდეს ფოკუს ჯგუფების შედეგების და საარჩევნო სისტემებში არსებული იმ შემაფერხებელი გარემოებების კვლევებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ ქალები, როგორც ამომრჩევლები, კანდიდატები, დამკვირვებლები, საარჩევნო კომისიის წევრები. ანალიზში ჩართული უნდა იყოს საარჩევნო სისტემის მიმოხილვა და სხვა მეთოდები, რომლებიც ქალების არჩევით ორგანოში წარმომადგენლობაზე გავლენას ახდენენ (როგორიცაა კვოტები, დარეზერვებული ადგილები, პოლიტიკური პარტიების შიდა რეგულაციები ქალების ნომინირების თაობაზე).
- უნდა შემუშავდეს სამოქმედო უსაფრთხოების გეგმები და თანმდევი ინსტრუქცია-დირექტივები, რომლებიც მოიცავენ სპეციალურად ქალების საჭიროებებზე მიმართულ გენდერულ მიზნებს და აქტივობებს. იმისათვის, რომ მოხდეს თანმიმდევრულობის პრინციპის დაცვა, აღნიშნული უნდა გაკეთდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ უკვე მომზადებულ სტრატეგიებთან შესაბამისობით. ყურადღებით განიხილეთ, სად უკეთ არის გათვალისწინებული ქალების საჭიროებები: 1. ისეთი სეგრეგირებული ზომების გამოყენებისას, როგორიცაა ქალებისათვის ცალკე გამოყოფილი სარეგისტრაციო დრო და საარჩევნო უბანი. 2. თუ გენდერულად მგრძნობიარე ისეთი საერთო მექანიზმების გამოყენებისას, როგორიცაა გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობა, ან საარჩევნო უბნები, რომლებიც იმ დროს არის ღია, როდესაც ქალს შეუძლია ოჯახის წევრ მამაკაცთან ერთად ხმის მიცემა.
- საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები, რათა გახდნენ გენდერულად მგრძნობიარენი (იხ. სექცია 7.3).
- უნდა დაწესდეს ყოველი საარჩევნო აქტივობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი.
- გეგმის საბოლოო ვერსიის მიღებამდე, უნდა მოხდეს მისი განხილვა გენდერის განყოფილების ან სხვა სპეციალურად გამოყოფილი პირის მიერ.

ქალთა მონაწილეობის მობილიზება საქართველოში

2014 წლის ადგილობრივ თითმართველობის არჩევნებში ქალთა ჩართულობის წახალისებისა და გაზრდის მიზნით, ცესკომ მხარი დაუჭირა გენდერისა და ამომრჩევლის საკითხებზე მომუშავე ხუთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას. არჩევნებამდე გაიმართა სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობა და კამპანია, რომელთა სამიზნე ჯგუფები იყვნენ ქალები, ასევე ახალგაზრდები და ეთნიკური უმცირესობები საქართველოში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს სპეციალური სატრენინგო მოდული, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის, არჩევნების დღის და კამპანიის წარმოების პროცედურების შესახებ. ქალები წარმოადგენდნენ საქართველოს ელექტორატის ნახევარზე მეტს.




გენდერული მენისტრიმინგი საარჩევნო აქტივობებში ავლანეთში

ავლანეთში ქალთა უფლებების დაცვა საკმაოდ სახიფათოა. ავლანეთის საარჩევნო უწყება, დამოუკიდებელი საარჩევნო კომისია, ქვეყანაში სწორედ ქალთა უფლებების დაცვით არის დაკავებული. გენდერული ასპექტები გათვალისწინებულია ორგანიზაციის შიდა და გარე საქმიანობის ყველა ასპექტში. გენდერული საქმიანობის წარმოების ვალდებულება ეკისრება გენდერულ განყოფილებას, რომელიც შეიქმნა 2009 წლის მაისში და დაეკისრა პასუხისმგებლობა დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიისთვის შეემუშავებინა გენდერული სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა 2014 წლის საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებზე. გენდერის განყოფილება ინტეგრირებულია დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის ყველა დეპარტამენტთან, მოიცავს ასევე კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირს და თანამშრომლობს ავლანეთის ქალების საქმეთა სამინისტროსა და ჰაჯისა და ისლამის საქმეთა სამინისტროსთან. გენდერის განყოფილებამ, აღნიშნულ სამინისტროებთან ერთად, დაიწყო ამომრჩეველთა განათლების კამპანია. კამპანიის ფარგლებში, გენდერის ტრენერების მიერ მოწყობილ სამუშაო შეხვედრებს ქალთა საარჩევნო უფლებებსა და მათი არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე, დაესწრნენ მოლეზიც. საბოლოოდ, დამოუკიდებელმა საარჩევნო კომისიამ, ქალი ამომრჩევლების რეგისტრაციის და არჩევნებში მონაწილეობის წახალისების მიზნით, გაზარდა ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე მომუშავე ქალების რაოდენობა. ამ ქმედებების შედეგად, 2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ქალებმა ამომრჩეველთა 36% შეადგინეს. მეტი ინფორმაციის გასაგებად ეწვიეთ საიტს www.iec.org

ბ) იმპლემენტაცია

- დასაქმების ინსტრუქციების შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მთავარ ოფისსა და რეგიონულ ოფისებში, სადაც შესაძლებელია, უნდა შეიქმნას გენდერულად დაბალანსირებული ჯგუფები.
- უნდა უზრუნველყონ, რომ საარჩევნო კალენდარი, ინფორმაცია კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადის, გასაჩივრების, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ხმის მიცემის შესახებ წინასწარ იყოს გავრცელებული და ადვილად ხელმისაწვდომი ქალისა და კაცისთვის.
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას ის, რომ ამომრჩეველთა და სამოქალაქო განათლების მასალებზე ქალი ისევე უნდა იყოს გამოხატული, როგორც კაცი. ენა უნდა იყოს გენდერულად ნეიტრალური, მესიჯები – ქალთა ჩართულობაზე მიმართული (იხ. სექცია 7.3)
- ბიულეტენი და სხვა ნაბეჭდი მასალა, როგორიცაა პოსტერები და ბუკლეტები უნდა შემუშავდეს ისე, რომ წერა-კითხვის უცოდინრების დისკრიმინაცია არ მოხდეს. მაგალითად, ამომრჩევლების საგანმანათლებლო მასალებში უნდა გამოიყენონ სურათები, ნახატები და სიმბოლოები; საარჩევნო ბიულეტენში კი კანდიდატების ფოტოები. ეს მნიშვნელოვანი გენდერული საკითხია, რადგან ქალებს შორის უფრო დიდია წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი.



- საარჩევნო აქტივობების განხილვა, მონიტორინგი და შეფასება გენდერული პერსპექტივიდან, უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე, რათა თავიდანვე გამოაშკარავდეს ნებისმიერი პრობლემა და გადაიდგას აუცილებელი ნაბიჯები მათ მოსაგვარებლად.
- სისტემატიურად უნდა შეგროვდეს მონიტორინგისა და შეფასების მონაცემები და აისახოს არჩევნების შემდგომ დასკვნაში.
- უნდა მოუწოდონ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მეტი ქალი დამკვირვებელი იყოს არჩევნებზე. ასევე, პოლიტიკურმა პარტიებმა მეტი ქალი წარმომადგენელი უნდა მიავლინონ არჩევნებზე. დაკვირვება არის საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მთავარი ელემენტი. ქალი დამკვირვებლებისა და პარტიის წარმომადგენლების მცირე რაოდენობამ შეიძლება გამოიწვიოს ზეწოლისა და გაყალბების საფრთხე იმ უბნებში, სადაც მხოლოდ ქალები აძლევენ ხმას.

სექცია 7.3 განათლება და ტრენინგი

სამოქალაქო და ამომრჩეველთა განათლება

საარჩევნო ადმინისტრაციის ძირითადი ფუნქცია არის არჩევნების წარმატებით ჩატარება და დროული და ეფექტური ინფორმაციის მიწოდება ელექტორატისთვის. იმისთვის, რომ გაიზარდოს მონაწილეობა, ადამიანებმა უნდა იცოდნენ საკუთარი საარჩევნო უფლებები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებისთვის ხმის მიცემა და ამ პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ახალია. ინფორმაციის მიწოდების და ამომრჩეველების მოტივირებისთვის მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციების, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის მიერ წარმართული სამოქალაქო და ამომრჩეველთა კამპანიები.

ამომრჩეველთა განათლება გულისხმობს ინფორმაციას, მასალებსა თუ პროგრამას, რაც გამოყენებულია ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის ხმის მიცემს პროცესთან დაკავშირებით; ის შეიცავს ისეთ დეტალებს, როგორიცაა ხმის მიცემის შესაძლებლობა, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ინფორმაცია კანდიდატების შესახებ, როგორ და სად აძლევენ ხმას და რა უნდა მოხდეს საჩივრისა ან დავის შემთხვევაში და ა.შ.

სამოქალაქო განათლება ეხება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური კონცეფციების ისეთ ფართო სპექტრს, როგორიცაა მოქალაქის როლი და პასუხისმგებლობა, მთავრობა, პოლიტიკური და სოციალური ინტერესები, მასმედია და სხვა ბიზნეს თუ არაკომერციული სექტორი, ასევე პერიოდული და კონკურენტუნარიანი არჩევნები.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის არ არის საკმარისი ზოგადი საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება ქალებისა და კაცებისთვის, ქალებს ხშირად განსაკუთრებული ინფორმაცია სჭირდებათ. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში კონფლიქტისა და კულტურული თავისებურების გამო, ქალები არ არიან ჩართული საარჩევნო პროცესებში. ზოგიერთ ქვეყანაში, შეზღუდული საგანმანათლებლო რესურსებიდან გამომდინარე და ოჯახური პირობების გამო, გოგონები უფრო ადრე წყვეტენ განათლებას და გამოდიან სკოლებიდან, ვიდრე ბიჭები. შესაბამისად, ქალთა შორის გაუნათლებლობის დონეც უფრო მაღალია. საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს, გაითვალისწინონ ქალთა საჭიროებები და უზრუნველყონ მათი საკმარისი ინფორმირებულობა, იმიტომ რომ ქალებმა ცოდნაზე დაფუძნებული არჩევანი გააკეთონ.

საუკეთესო გამოცდილება, საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებები ქალთა საარჩევნო განათლების საჭიროების შესახებ

ა) გეგმა ქალთა საარჩევნო განათლების საჭიროების შესახებ

- შეისწავლონ და გაანალიზონ სოფლად და ქალაქებში მცხოვრები ქალების საჭიროებები სპეციფიკური საარჩევნო განათლებისათვის; ბარიერები, რომლებიც ქალებს ხვდებათ საარჩევნო პროცესებში მონაწილეობისას. სიტუაციური ანალიზის ჩატარების რამდენიმე საშუალება არსებობს: გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები, ინტერვიუ ინფორმაციის მთავარ წყაროებთან ან ისეთი დოკუმენტების მიმოხილვა, როგორებიცაა დამკვირვებელთა მოხსენებების მიხედვით მომზადებული რეკომენდაციები.

- საჭიროა განსაზღვრონ ქალთა ჯგუფები, რომელთაც აქვთ განსხვავებული საარჩევნო საგანმანათლებლო საჭიროებები, როგორებიცაა ეთნიკური უმცირესობები, წერა-კითხვის უცოდინარ ქალთა ჯგუფები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ენობრივი უმცირესობები, და ა.შ.
- უზრუნველყონ, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს თანხები ქალ ამომრჩეველთა განათლებისთვის.
- სამოქალაქო და ამომრჩეველთა განათლების მასალების შექმნის პროცესში ჩართონ გენდერის ექსპერტები.
- მოახდინონ მესიჯების, საგანმანათლებლო მასალების და მეთოდის, პრე და პოსტ ტესტირების და შედეგების აპრობირება ამომრჩეველთა განათლების სტრატეგიებსა და ბიუჯეტში.

ბ) მიზანმიმართული კამპანიებს განვითარება

- საჭიროა, განსაზღვრონ საარჩევნო და სამოქალაქო განათლების ძირითადი მესიჯები ქალებისთვის. მაგალითად, ხაზი გაუსვან ქალთა უფლებას, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და ხმა მისცენ მათთვის სასურველ კანდიდატს; პოლიტიკურ პროცესებში ქალების, როგორც ამომრჩევლების და კანდიდატების მონაწილეობის მნიშვნელობას; განსაკუთრებულ ზომებს, რომლებიც გააუმჯობესებენ ქალთა მონაწილეობას, ასევე მექანიზმებს, რომლებიც გააადვილებენ ამ სიტუაციას.
- უზრუნველყონ, რომ მოხდეს სოფლადმცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განათლება.
- უნდა გამოიყენონ შეფასებები, გამოკითხვა და ინფორმაციის შეგროვების სხვა საშუალებები, რათა გაარკვიონ, რომელია საუკეთესო გზა ქალების ინფორმირებისა და განათლებისათვის.



სურათში აღწერილია როგორ ხდებოდა საქართველოში ამომრჩეველთა ინფორმირება საინფორმაციო ფლაერების სავაჭრო ობიექტებში დარიგებით

- სადაც საჭიროა, ჩაატარონ საარჩევნო განათლების კამპანიები მამაკაცებისათვის, რათა მოხდეს მათი ინფორმირება საკუთარი უფლებების შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ ქალებს აქვთ უფლება ხმა მისცენ დამოუკიდებლად. მამაკაცებს ასევე უნდა გააცნონ არჩევნებში ქალთა მონაწილეობის დადებითი ეფექტები. ჯგუფური და სხვისი მეშვეობით ხმის მიცემის შემცირების მიზნით, უნდა მოხდეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის საიდუმლოების მნიშვნელობის შესახებ ინფორმირება.
- უზრუნველყონ, რომ მასალები და ფოტოები, რომლებსაც იყენებენ კამპანიის დროს, შეიცავდეს პოზიტიურ განწყობას ქალთა მიმართ. ქალებს ეკავთ მოწინავე პოზიციები (როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებს, დამკვირვებლებს, კანდიდატებს და სხვ.);
- შექმნან საგანმანათლებლო კამპანიები ქალებისთვის, რომლებიც შეიძლება იყვნენ საარჩევნო ძალადობის მსხვერპლნი;
- მოახდინონ შესაბამისი მეთოდოლოგიების და მედია საშუალების იდენტიფიცირება და გამოყენება სოფლად მცხოვრები, წერა-კითხვის უცოდინარი, ეთნიკურ უმცირესობების, ახალგაზრდა ქალების ინფორმირებისათვის.
- უზრუნველყონ, რომ ამომრჩეველთა განათლების ვორქშოფები და აქტივობები გაიმართოს ქალებისათვის მისაღებ დროს და ადგილას, ისეთ გარემოში, სადაც ქალები თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და თავისუფლად შეიძლება საკუთარი აზრის გამოხატვას.



- უზრუნველყონ, რომ ამომრჩეველთა განათლების კამპანიები წარიმართოს როგორც კაცებისგან, ისე ქალებისგან და მის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა ჯგუფები (ბებიაქალები, ჯანდაცვის მუშაკები, ქალი მასწავლებლები). ზოგიერთ ქვეყანაში აუცილებელია, ქალს მოგზაურობისას თან ახლდეს ნათესავი მამაკაცი. მნიშვნელოვანია, რომ ქალი თანმხლებ პირს ენდობოდეს.

გ) შედეგის მაქსიმიზაცია

- იმისთვის, რომ ძირითადი მესიჯის მიტანა მოხდეს ქალებთან, საჭიროა კოორდინირებული, ინტეგრირებული და კრეატიული თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტთან, ქალთა ჯგუფთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან. ჯანდაცვისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორები ეფექტური ასპარეზია ტრენერებისა და ამომრჩეველთა განათლების სპეციალისტებისათვის, მაგალითად, ეფექტური იქნება სოფლის ჯანდაცვის პერსონალთან მუშაობა, ბებიაქალებთან და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ასოციაციებთან. შესაბამის მხარეებთან აქტიური თანამშრომლობით, ამომრჩეველთა განათლება მაქსიმალურად შედეგიანი იქნება.

ამომრჩეველთა განათლება საქართველოში

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) რეგულარულად, ერთმანეთთან კოორდინირებულად ახორციელებს ამომრჩეველთა განათლების საინფორმაციო კამპანიებს. მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირების და განათლების გარდა, ცესკოს და IFES-ის კამპანიები ყოველთვის არის მიმართული დაუცველ და საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ ჯგუფებსა და თემებზე.

2012 წლის საპარლამენტო, 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისათვის ცესკომ მთელ ქვეყანაში ჩაატარა რამდენიმე აქტივობა ქალებისა და მარგინალიზებული ჯგუფებისთვის, საარჩევნო განათლების გაუმჯობესების მიზნით. ეს აქტივობები მოიცავდა საინფორმაციო გადაცემების და სოციალური სარეკლამო რგოლების გავრცელებას ტელევიზიით, რადიოსა და სოციალური მედიის მეშვეობით; საინფორმაციო ბროშურების შექმნას უმცირესობების ენებზე; ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერას ამომრჩეველთა განათლების სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო პროექტების აქტივობებში ქალების, ეთნიკური უმცირესობების და შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობაზე).

ცესკომ ასევე ორგანიზება გაუკეთა მიიღო არაერთ მრგვალ მაგიდასა და საჯარო შეხვედრას; ცესკოს მიერ მომზადებული ამომრჩეველთა განათლების მასალები არჩევნების დღეს განთავსებული იყო საარჩევნო უბნებზე, სადაც ფოტოებითა და ტექსტით იყო ახსნილი და განმარტებული არჩევნების დღის პროცედურები მოქალაქეებისთვის. ბოლო სამი საარჩევნო ციკლის დროს ცესკომ, აიფესის მხარდაჭერით დაამზადა საარჩევნო მასალები (სახელმძღვანელოები, ამომრჩეველთა ბიულეტენები, ამომრჩეველთა სიები) უმცირესობების ენებზე. ამ ძალისხმევამ დადებითი შედეგი გამოიღო იმ მხრივ, რომ საშუალება მისცა საარჩევნო უბნის წევრებს, რომელთაც არ იცოდნენ კარგად ქართული, უკეთ გარკვეულიყვნენ საკუთარ მოვალეობებში და ხმის მიცემის პროცედურებში, ასევე ამომრჩეველებს მიეცათ საშუალება შეემოწმებინათ საკუთარი თავი საარჩევნო სეიბში და ხმა მიეცათ იმ ენაზე, რომელიც უკეთ იცოდნენ.

დ) ტესტური მასალები და მეთოდოლოგია

- დარწმუნდით, რომ საგანმანათლებლო მასალების მთავარი მესიჯები არის ნათელი და მოტივაციას უქმნის ადრესატს; მესიჯების ადრესატამდე მიტანის მეთოდოლოგია არის ეფექტური და დატესტილი სამიზნე ჯგუფებზე. შესაძლებელია, სპეციალური კვლევების და ფოკუს ჯგუფებში ინტერვიუების ჩატარებაც.
- საგანმანათლებლო კამპანიების ეფექტურობა განისაზღვროს პრე და პოსტ ტესტირებით და სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების შეფასებების მიხედვით. ეს მოიცავს კამპანიაში ჩართულ ქალთა ცოდნის გარკვევას კამპანიის დაწყებამდე და იმავე ქალთა განათლების დონის შემოწმებას მას შემდეგ, როცა მიიღებენ განათლებას საარჩევნო საკითხებზე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გენდერული თანასწორობის კომისია

2011 წელს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნა გენდერული თანასწორობის კომისია. კომისია შედგება ცესკოსა წევრებისა და თანამშრომლებისგან, რომლებსაც დაევალით მოეხდინათ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის საქართველოს გენდერული თანასწორობის ეროვნულ სამოქმედო გეგმისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისობაში მოყვანა. გენდერული თანასწორობის კომისიას ცესკოს მრჩეველის ფუნქცია აქვს და რეგულარული სიხშირით იკრიბება. კომისია პასუხისმგებელია ცესკოს მიერ გენდერზე ფოკუსირებული პროგრამების შემუშავებასა და იმპლემენტაციაზე; ასევე პასუხისმგებელია კოორდინაცია გაუწიოს ცესკოს გენდერულ საქმიანობას სხვადასხვა მხარესთან. გენდერული თანასწორობის კომისიის სამიზნე ჯგუფები არიან ქალი ამომრჩეველები, ქალი კანდიდატები, ქალი საარჩევნო კომისიის წევრები. კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- კომისიის სამუშაოს დაგეგმვისას კონსულტაციების გავლა ქალთა ჯგუფებთან;
- ყველა საარჩევნო ღონისძიებისთვის გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვება და მონიტორინგი;
- გენდერული აქტივობებისთვის ბიუჯეტის შემუშავება, რომელიც მონიტორინგს და შეფასებასაც მოიცავს.
- სამთავრობო უწყებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან და დონორებთან კოორდინაცია, რათა იყოს გენდერულ აქტივობებისადმი ერთიანი მიდგომა, ნებისმიერი საარჩევნო პროცესის დროს.
- დასაქმების ინსტრუქციების შემუშავება და საარჩევნო მიზნებისთვის სამსახურში აყვანისას გენდერული ბალანსის უზრუნველყოფა, სადაც შესაძლებელია, მთლიანად ქალებით დაკომპლექტებული ჯგუფების დაშვება.

ტრენინგი

საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების ჩატარებისა და დაგეგმვის დროს მჭიდროდ თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებული მხარეები მონაწილეობას იღებენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ბრიფინგებში, რომლებიც ეხება მათ როლს არჩევნებში. ეს საარჩევნო ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას, რომ პოპულარიზაცია გაუწიოს გენდერულ საკითხებს და ამავდროულად გახადოს დაინტერესებული მხარე უფრო მეტად მგრძნობიარე ქალთა სპეციფიკურ საჭიროებების მიმართ სხვადასხვა საარჩევნო პროცესებში. ამ პროცესისას მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია თავად იყოს გენდერულად სენსიტიური და მაგალითის მიმცემი.

ქმედებები, რომლებიც უნდა გაატაროს საარჩევნო ადმინისტრაციამ, რათა მოახდინოს გენდერული საკითხების ინტეგრირება დაინტერესებული მხარეების ტრენინგებში

ა) განსაზღვრეთ სამიზნე ჯგუფები და შეიმუშავეთ გენდერულად მგრძნობიარე საარჩევნო ტრენინგების ჩატარების გეგმა.

- ქალთა მონაწილეობის და საარჩევნო პროცესების გენდერული მგრძნობიარობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის არჩევნებამდე ჩაატარეთ BRIDGE-ის ტრენინგები გენდერში.
- ჩაატარეთ ტრენინგები გენდერში ისეთი სპეციფიკური ჯგუფებისათვის, როგორებიცაა ადგილობრივი უსაფრთხოების ძალები და საარჩევნო ადმინისტრაციის პერსონალი, რათა მოხდეს გენდერული საკითხების ინტეგრაცია, მათ მიერ განხორციელებულ საარჩევნო ქმედებებში. მაგალითად, უსაფრთხოების ძალების ტრენინგის დროს უნდა გაიზარდოს ცნობიერება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გენდერულ საკითხებზე. უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლებს უნდა აუხსნან, როგორ აიცილონ თავიდან ქალზე მიმართული საარჩევნო ძალადობა და როგორ მოექცნენ საარჩევნო ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

ბ) საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების ცოდნის ამაღლება გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგებით

- იმისათვის რომ, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მოხდეს გენდერული ასპექტების გათვალისწინება, გენდერის ტრენინგები უნდა ჩატარდეს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებს. მაგალითად, ტრენინგებმა უნდა იცოდნენ, რომ ტრენინგის ლოჯისტიკური საკითხების მოგვარებისას აუცილებელია გენდერული ასპექტების გათვალისწინება. ტრენინგებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ისინი არიან მაგალითის მიმცემები და მათ ქცევაზე დამოკიდებული ტრენინგებში ქალთა ჩართულობა და კონტრიბუცია.
- ჩაატარონ ქალთა ლიდერობის ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავენ მოხდეს ქალის როლის გაზრდა საარჩევნო ადმინისტრაციებსა და არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების წარმომადგენლებში.



გ) გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგის მასალები და შინაარსი

- უზრუნველყონ, რომ საარჩევნო ტრენინგის მასალები იყოს გენდერულად მგრძნობიარე. მაგალითად, ფოტოები, ნარატიული მასალები და კონკრეტული საქმეების, საკითხების განხილვა უნდა მოხდეს ქალების პოზიტიურად წარმოჩინებით. ხაზი უნდა გაესვას, რომ ქალი თამაშობს წამყვან როლს საზოგადოებაში, თავიდან უნდა იქნას აცილებული ქალთა მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების და იმიჯის დამკვიდრება.
- ხაზი უნდა გაესვას საარჩევნო პროცესებში წარმოქმნილ გენდერულ საკითხებს. მაგალითად, არჩევნებზე მომუშავე პირებმა, უნდა გაიგონ, რომ ოჯახის წევრებთან ერთად ხმის მიცემა კანონდარღვევაა.

დ) ტრენინგის მონაწილეთა შემადგენლობა

- თუ შესაძლებელია, ტრენინგის მონაწილეთა შემადგენლობა უნდა იყოს გენდერულად დაბალანსებული. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის დროს ქალ და კაც ტრენერებს თანაბარი სტატუსი და პასუხისმგებლობა ჰქონდეთ. როდესაც საჭიროა, ტრენინგები ჩატარდეს მხოლოდ ქალთა ჯგუფებში. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ცნობილია, რომ ქალების მიერ ქალების დატრენინგება უფრო ეფექტური იქნება.

ე) მონაწილეთა შერჩევა

- დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვეთ ტრენინგის მონაწილეებად წარმოადგინონ ორივე სქესის წარმომადგენლები.
- უზრუნველყავით, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მონაწილეობდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.



საქართველოს საოლქო საარჩევნო წევრების ტრენინგი გენდერსა და ლიდერობაში

ვ) ტრენინგის ჩატარება მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით

- მოიფიქრეთ, კონკრეტული სპეციფიკური სამიზნე აუდიტორიისთვის, ტრენინგის ჩატარების რომელი მეთოდია ყველაზე ეფექტური. მაგალითად, კოორდინაცია და თანამშრომლობა ქალების ან რელიგიური ჯგუფების, ჯანდაცვის მუშაკების, სასოფლო სამეურნეო ასოციაციების ან ქალთა საკითხებზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანიზაციების განყოფილებების წარმომადგენლებთან.

გენდერისა და ლიდერობის ტრენინგი საქართველოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის

იმისათვის, რომ მოხდეს ქალთა მონაწილეობის გაზრდა, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისას. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა არაერთი ტრენინგი ქალთა ლიდერობის საკითხებში. ცესკოსთან თანამშრომლობით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) საარჩევნო ადმინისტრაციის 40 ქალი წევრისათვის ჩაატარა ტრენინგები ლიდერობის, გენდერისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე, რათა უკეთ წარემართათ თავიანთი საქმიანობა 2014 წლის თვითმართელობის არჩევნების დროს. ტრენინგები მოიცავდა გენდერული თანასწორობის სხვადასხვა საკითხს, მათ შორის, გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოში არსებულ სიტუაციას და გამოწვევებს, ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვას და ა.შ. გარდა ამისა, 2014 წლის გაზაფხულზე ცესკომ გამოაცხადა დიდი საგრანტო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერას, განეხორციელებინათ ადგილობრივ თვითმართელობის არჩევნებში ქალთა მონაწილეობის წახალისებაზე ორიენტირებული პროექტები.

სექცია 7.4 ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეთა რაოდენობა განისაზღვრება ამომრჩეველთა რეგისტრაციის მეშვეობით. რეგისტრაციის პროცესი უმნიშვნელოვანესია, რადგან ის საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, ქალსაც და კაცსაც, გამოიყენონ ხმის მიცემის უფლება. ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემები უნდა იყოს მარტივი, გამჭვირვალე, ზუსტი და ხელმისაწვდომი. ამ ძირითადი პარამეტრების გარდა, მონაცემების შეგროვებისა და ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის არ არსებობს სხვა უფრო მეტად სწორი მიდგომა. რა სახის მეთოდოლოგია ან სისტემა არ უნდა გამოიყენოთ გენდერული პერსპექტივის განხილვისას, მას მაინც აღმოაჩნდება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ასევე მოახდენს სხვადასხვა სახის გავლენას არჩევნებში ქალთა ჩართულობასა და მონაწილეობაზე. საარჩევნო სისტემის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ქვეყნის თავისებურებები. აუცილებელია, რომ შერჩეული სისტემა არ ართმევდეს ხმის მიცემის უფლებას ქალებს ან არ ახდენდეს მათ მარგინალიზაციას, არ ზღუდავდეს მათ აქტიური წვლილი შეიტანონ ქმედით და ხელმისაწვდომ პოლიტიკურ პროცესში.

ქვეყნისა და მისი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება იყოს ან არ იყოს პასუხისმგებელი ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაცია ყოველთვის აგებს პასუხს იმ მონაცემების სისწორეზე, რომელსაც იყენებს არჩევნებისას. თუ ამომრჩეველთა რეგისტრაციას ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაცია, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ქალების რეგისტრაცია და შეამციროს ის ბარიერები, რომლებსაც ქალები აწყდებიან რეგისტრაციის პროცესში. საარჩევნო ადმინისტრაციამ საინფორმაციო კამპანიებით უნდა უზრუნველყოს ქალთა ინფორმირება და მოტივირება, რათა გაიარონ რეგისტრაცია.

„საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებმა ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურების დადგენისას, უნდა გაითვალისწინონ, რომ ქალი ამომრჩეველები ხშირად სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროგრამებით რეგისტრირდებიან; აქ საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფო თავად არეგისტრირებს ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა მოქალაქეს იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოს აქვს შესაბამისი რესურსი და უნარი, უზრუნველყოს მსგავსი სისტემების გამართული ფუნქციონირება. ისეთი საარჩევნო სისტემების პირობებში, როდესაც მოქალაქეებს ინდივიდუალურად უწევთ რეგისტრაციის გავლა, საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საზოგადოება კარგად იყოს ინფორმირებული ხმის მიცემის აუცილებლობაზე, საარჩევნო უბნები იყოს ადვილად მისადგომი, ხოლო საარჩევნო პროცედურები მარტივი და სწრაფად გასავლელი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩეველებს, რომელთა უმრავლესობა ხშირად არის ქალი.“

წყარო: ქალი და არჩევნები, გზამკვლევი ქალთა არჩევნებში მონაწილეობისათვის, გვ.69, გაერო



საარჩევნო ადმინისტრაციების საუკეთესო გამოცდილება გენდერულად მგრძნობიარე ამომრჩეველთა რეგისტრაციის მისაღწევად

ა) ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემა და პროცესი

- უნდა შექმნას მარტივი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი და სისტემა, რომელიც არ იქნება მიმართული ქალების ინტერესების საწინააღმდეგოდ ან საზიანოდ და არ წაართმევს მათ ხმის მიცემის უფლებას.
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის პროცესის განვითარების შემუშავებისას, დადგინდეს სავარაუდო ბარიერები და დაბრკოლებები, რომლებიც ხელს შეუშლის ქალთა ჩართულობას. დაბრკოლება შეიძლება იყოს დრო, იმ ქალისთვის, რომელიც მუშაობს ან შვილი ჰყავს; განათლების, წიგნიერების დონე, რელიგიური ეთნიკური ან კულტურული ტრადიციები, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები და სპეციფიკური პრობლემები, რომლებსაც ხვდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, იძულებით გადაადგილებული ან ქალები პოსტ-კონფლიქტური ქვეყნებიდან. ბარიერი შეიძლება იყოს დაშინების და ზეწოლის საფრთხე. მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს თავად ქალების მიერ, რადგან ზერელე ცოდნაზე დამყარებული დასკვნები და ვარაუდები შეიძლება მცდარი იყოს.
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემის შერჩევისას უნდა მოხდეს ამ სისტემების გენდერული შეფასება, რათა ცხადი გახდეს რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ სისტემას ქალებზე.
- თუ საარჩევნო ადმინისტრაცია არ არის პასუხისმგებელი ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე, მაშინ უნდა ითანამშრომლოს რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ ორგანოსთან და ქალთა მონაწილეობის პროცესს გაუწიოს ადვოკატირება.

ამომრჩეველთა ეფექტური რეგისტრაცია ნეპალში

ქალთა სრულფასოვანი (განსაკუთრებით კი მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელი ქალების) რეგისტრაციისათვის ნეპალის საარჩევნო კომისიამ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შექმნა ამომრჩეველთა რეგისტრაციის 486 მობილური ბანაკი იმ 32 უბანში, სადაც IFES მუშაობდა. ინიციატივის ფარგლებში, ქალი მოხალისეები ჯანდაცვის სისტემიდან და დაწყებითი სკოლების მასწავლებლები, აწარმოებდნენ ამომრჩეველთა კარდაკარ რეგისტრაციას. შედეგად, მოხდა 1,677,743 ქალის ინფორმირება და წახალისება, რომ გაეცლოთ ხმის მიცემის რეგისტრაცია 2011 წლის სექტემბრიდან და 2013 წლის ოქტომბრამდე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთ იზოლირებულ მხარეში, როგორიცაა, მაგალითად, გაიდა ვედპურში, მაჰორატის ოლქში, სადაც ქალთა ძალიან მცირე რაოდენობამ მისცა ხმა 2008 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებისას. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარმოებული ამომრჩეველთა რეგისტრაციის კამპანიის დასახურებით კი, 2013 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე გაიდა ვედპურში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველი ქალების 77-მა პროცენტმა და მამაკაცების 64-მა პროცენტმა. აღნიშნული შედეგებით დადასტურდა, რომ გაუმჯობესდა საარჩევნო პროცესზე ხელმისაწვდომობა ქალებისათვის.

ამ და სხვა ინიციატივების შედეგად, შემცირდა საარჩევნო პროცესში მონაწილეობის დროს წარმოქმნილი დაბრკოლებები, 6.16 მილიონ ქალი დარეგისტრირდა 2013 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებზე, რამაც საერთო დარეგისტრირებული ამომრჩეველების 50.76 პროცენტი შეადგინა.

- დარწმუნდით, რომ სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ სარეგისტრაციო სისტემებში, სადაც მოქალაქეების ავტომატური რეგისტრაცია ხდება, გათვალისწინებულია სიის განახლების მექანიზმები. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა სამოქალაქო რეგისტრაციის სუსტი სისტემების მქონე, პოსტ-კონფლიქტურ (სადაც ინფორმაცია განადგურდა ან მონაცემების მანიპულირებას ჰქონდა ადგილი), ან ისეთ ქვეყნებში, სადაც ბევრია იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთა უმრავლესობაც, ხშირად ქალია.
- სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ მონაცემებში, ახალდაქორწინებული ქალების სახელები სწორად არის მითითებული, აგრეთვე გათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ დაქორწინებისას მათი საცხოვრებელი ადგილი შეიძლება შეიცვალოს. გარდა ამისა, უნდა გაითვალისწინონ დაკავშირებულია თუ არა მათ ოჯახურ სტატუსთან განქორწინებული და ქვრივი ქალების რეგისტრაციის სტატუსი.
- სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ სისტემებში, მიუთითეთ იმ ქალების სახელებიც, რომლებიც ოჯახის წევრების კმაყოფაზე არიან და რეგისტრაციისას ინფორმაცია მამრობითი სქესის – ოჯახის „უფროსის“ სახელზე იცვება.
- თვითინიცირებული სისტემის გამოყენების შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე არის პასუხისმგებელი საკუთარ თავის რეგისტრაციაზე, მიიღეთ მონაწილეობა საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვის პროცესში. უზრუნველყავით, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი არის მარტივად აღსაქმელი და შესაფასებელი.

- თავი აარიდეთ ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს რეგისტრაციისას, თუ იცით, რომ ქალებს ექმნებათ სირთულეები პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან დაკავშირებით ან შეზღუდულია იდენტიფიკაცია (მაგ. იძულებით გადაადგილებული პირები).
- დარწმუნდით, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და კაცებს აქვთ რეგისტრაციის საშუალება.
- უზრუნველყავით, რომ რეგისტრაციისას მითითებული იქნება სქესი და რეგისტრირებული ამომრჩევლების მონაცემები ამ კომპონენტის მიხედვით იქნება დაყოფილი.
- დარწმუნდით, რომ წერა-კითხვის უცოდინარ, შეზღუდული შესაძლებლობის და შეზღუდული კომუნიკაციის უნარების მქონე მოქალაქეებს აქვთ ინფორმაცია რეგისტრაციის წესების შესახებ და შეუძლიათ რეგისტრაცია.
- უზრუნველყავით მოსახლეობის დროული ინფორმირება ვადებისა და თარიღების შესახებ. დარწმუნდით, რომ ეს ინფორმაცია ქალებს მიეწოდათ, განსაკუთრებით მათ, ვინც ქალაქიდან (დასახლებული პუნქტიდან) მოშორებით ცხოვრობს, სახლიდან ვერ გამოდის, ან პატარა შვილები ჰყავთ.
- თვალყური ადევნეთ რეგისტრაციის პროცესს და მიმართეთ გამოსასწორებელ ზომებს თუ დარეგისტრირებულ ქალთა რაოდენობა ძალიან მცირეა.

ამომრჩეველთა ქალთა რეგისტრაციის ხელშეწყობა პაკისტანში

პაკისტანის საარჩევნო კომისიამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობით შეიმუშავა ამომრჩევლის საგანმანათლებლო მესიჯები, რომელთა მიზანიც იყო ქალი ამომრჩევლის მოტივირება, კერძოდ, გაეცნოთ ხმის მისაცემი რეგისტრაცია. კამპანიის ფარგლებში ხდებოდა ელექტრონული ეროვნული საიდენტიფიკაციო ბარათების მეშვეობით, გენდერულად მგრძნობიარე მესიჯების მიწოდება რეგისტრაციის შესახებ და მობილური სერვისებით ამომრჩეველთა რეგისტრაციის გადამოწმება. ეს მესიჯები გავრცელდა ტელე და რადიო განცხადებებით, პოსტერებით, ბანერებით და სოციალური მედიის მეშვეობით. IFES-ის PakVoter კამპანიასთან თანამშრომლობით, რომლის მიზანიც იყო ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი არჩევნების შესახებ, პაკისტანის საარჩევნო კომისიის მესიჯი მიუვიდა 1.3 მილიონამდე Facebook მომხმარებელს, რომელთა ნახევარზე მეტიც ქალია.

ბ) ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის საჭირო განათლება

- საჭიროა განავითარონ და განახორციელონ მიზანმიმართული საარჩევნო განათლების კამპანიები, რომლებიც ქალებს დაეხმარება გააცნობიერონ არჩევნების მნიშვნელობა, აუხსნის მათ ამომრჩეველთა რეგისტრაციის უპირატესობას და მიაწვდიან ინფორმაციას იმ განსაკუთრებულ საჭიროებებსა და სკიოზებზე, რომლებიც შესაძლოა ჰქონდეთ ქალებს.
- მთავარი მესიჯების პოპულარიზაციის მიზნით შემოიღონ კრეატიული და კომპლექსური მიდგომები, რათა მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგს ისეთ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოება, ადგილობრივი თემები, რელიგიური ჯგუფები და მედია.
- უნდა შეირჩეს ამომრჩეველთა განათლების შესაფერისი მეთოდოლოგია, რომ ეფექტურად მოხდეს ქალების აზრის გათვალისწინება; ყურადღება გამახვილდეს წერა-კითხვის უცოდინარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური უმცირესობის და იმ ქალების ინფორმირებაზე, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.
- უზრუნველყონ, რომ ქალებს ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია და დრო შემოიტანონ საჩივრები ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით და ასევე, შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საჩივრის განხილვის პროცესზე.
- სადაც მისაღებია, ჩატარდეს მიზანმიმართული ამომრჩეველთა განათლების კამპანია კაცებისთვის, რათა მათ განემარტოთ ქალთა რეგისტრაციის მნიშვნელობა.



გ) პერსონალი და ლოჯისტიკა

- თუ შესაძლებელია, ამომრჩეველთა განათლების, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, საჩივრების განხილვების და უსაფრთხოების ჯგუფების შემადგენლობა იყოს გენდერულად დაბალანსებული. დარწმუნდნენ, რომ ჯგუფები მისაღებია ადგილობრივ თემში.
- ჯგუფებს, რომლებიც ახორციელებენ ამომრჩეველთა რეგისტრაციას უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები, რომ გახდნენ გენდერულად მგრძნობიარეები, ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ.
- სადაც საჭიროა, ამომრჩეველთა რეგისტრაციის და განათლების ჯგუფები დაკომპლექტდეს მხოლოდ ქალებისგან;
- უზრუნველყონ, რომ რეგისტრაციის ცენტრები იყოს ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ქალებისთვის და ის, რომ ჰქონდეთ რეგისტრაციის გავლის საშუალება, მათი სამუშაო საათებისა და ოჯახური ვალდებულებების გათვალისწინებით.
- დარწმუნდნენ, რომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის ცენტრები მოსახერხებელია ორსული ქალებისთვის, ასევე ქალებისთვის, რომლებსაც პატარა შვილები ჰყავთ, ხანშიშესული ქალებისთვის და ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის.
- მოშორებული ტერიტორიებისთვის აწარმოონ ამომრჩეველთა რეგისტრაცია ადგილზე.
- ისეთი დრო შეირჩეს ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის, როდესაც ქალებსაც და კაცებსაც ეცლება. მაგალითად, თავიდან აირიდეთ მოსავლის აღების დრო ან ზამთარი მაღალმთიანი რეგიონებისთვის.
- დაუკავშირდით უსაფრთხოების მუშაკებს, რომ უზრუნველყონ ამომრჩეველთა რეგისტრაციის დროს უსაფრთხოება.

სექცია 7.5 საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანია საარჩევნო ციკლის პოლიტიკურად აქტიური მონაწევრია, ამ დროს პარტიები და კანდიდატები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, რომ ხელი შეუწყონ საკუთარი იდეების პოპულარიზაციას; მხარდაჭერა მოიპოვონ და მოიგონ ამომრჩეველთა გულები. ამ დროს დაძაბულობა საკმაოდ დიდია პოლიტიკურ პარტიებს, კანდიდატებსა და მათ მხარდამჭერებს შორის, რაც საკმაოდ რთულია ყველასთვის, ვინც მათთან არის კავშირში. თუმცა, ეს განსაკუთრებით რთული პერიოდია ქალი კანდიდატებისთვის, რადგან გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნისათვის.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის თანაბარი პირობები უნდა იყოს შექმნილი. აღნიშნული ხშირად უზრუნველყოფილია ადგილობრივი კანონმდებლობითაც. მიუხედავად ამისა, ქალები ხშირად აწყდებიან არაადეკვატურ დაბრკოლებებს და განიცდიან დისკრიმინაციას. გენდერული სტერეოტიპები, სოციალური, რელიგიური თუ კულტურული ფაქტორები მრავალ ქვეყანაში უშლის ხელს ქალებს სრულფასოვნად ჩაერთონ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალებს უფრო მეტი ოჯახური ვალდებულებები აქვთ, ვიდრე კაცებს, ეს მათ აბრკოლებთ წავიდნენ საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებით. იმ ქვეყნებში სადაც დემოკრატია ახალი დამკვიდრებულია, ხშირად ქალები უფრო ნაკლებად განათლებულები არიან, ვიდრე კაცები, ნაკლებად აქვთ წვდომა ინფორმაციაზე, შედარებით შეზღუდული აქვთ კონტაქტების დამყარების შესაძლებლობაც. ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში მყოფ ქვეყნებში, ქალების უსაფრთხოება დაცული არ არის, რადგან დიდი შანსია, ისინი დაშინებისა და საარჩევნო ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. კიდევ ერთი და ხშირად უმთავრესი დაბრკოლებაა ის, რომ ქალებს ნაკლები წვდომა აქვთ მნიშვნელოვან რესურსებზე. აღსანიშნავია, კანდიდატ ქალების შეზღუდული წვდომა ფინანსურ რესურსებზე, რაც ხელს უშლით მათ ჩაატარონ ეფექტიანი საარჩევნო კამპანია და რეალური კონკურენცია გაუწიონ კანდიდატ მამაკაცებს. მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ისეთ რესურსებზეც, როგორებიცაა ტრანსპორტირება, მედია და კამპანიის ღონისძიებებისთვის ჩასატარებელი ადგილები.

კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრავს საარჩევნო ადმინისტრაციის როლს კამპანიის ფინანსების დარეგულირებასა და მონიტორინგში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ავსტრალიაში, საარჩევნო ადმინისტრაციას აქვს უფლება, რომ დაარეგულიროს და მონიტორინგი გაუწიოს კამპანიის ფინანსებს, დაფინანსების მეთოდებს, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საქმიანობას. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბენინი, საბერძნეთი და ესტონეთი ამ საკითხებზე პასუხისმგებლობა სხვა სამთავრობო დაწესებულებას ეკისრება და საარჩევნო ადმინისტრაციას ნაკლები ვალდებულებები აქვს. როგორიც არ უნდა იყოს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი, აშკარაა, რომ მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს თანასწორობა და შექმნას თანაბარი პირობები ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, ასევე ქალი და კაცი კანდიდატებისთვის. იმ დაბრკოლებების გათვალისწინებით, რასაც ქალები აწყდებიან დღესდღეობით, საარჩევნო ადმინისტრაციას მოეთხოვება გააკეთოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რათა შექმნას ჯანსაღი საარჩევნო გარემო, სადაც ქალებს თანაბარ დონეზე შეეძლებათ კაცებისთვის კონკურენციის გაწევა.

თანასწორი უფლებების დასაცავად საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებების საუკეთესო გამოცდილება

ა) კამპანიის დაფინანსება

- თუ საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციებში შედის, მოახდინეთ იმ კანონების ან რეგულაციების ადვოკატირება, რომლებიც ითვალისწინებენ ქალი კანდიდატების კამპანიების, ქალი კანდიდატების მიერ წარმართული ან მათ პოპულარიზაცი-აზე მიმართული აქტივობების დაფინანსებას. ეს განსაკუთრებით რელევანტურია იმ სისტემებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ კვოტირებას ქალი კანდიდატებისათვის.
- საარჩევნო ადმინისტრაციამ, საკუთარი უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში, უნდა ჩაატაროს კამპანიის დაფინანსების აუდიტი და მიმოხილვა, დააწესონ ადმინისტრაციული ჯარიმები და მოუწოდონ შესაბამის სტრუქტურებს ადეკვატური სანქციების გატარებისაკენ. აღნიშნული უზრუნველყოფს შესრულდეს საარჩევნო კამპანიების დაფინანსების რეგულაციები და არ დარჩეს დაუსჯელი არა-ლეგალური ან გადამეტებული ხარჯვა.
- უზრუნველყონ, რომ ქალ და მამაკაც კანდიდატებს აქვთ თანაბარი წვდომა კამპანიის რესურსებზე, რაც მოიცავს საჯარო დაფინანსებას კამპანიის აქტივობებისთვის, საეთერო დროს, აქტივობების ჩასატარებელ ადგილმდებარეობას; ასევე პარტიის მიერ შეგროვებულ შემოწირულობებს.

ბ) კამპანიის ჩატარება, რეგულაციები

- მკაფიო, ზუსტი და ყოვლისმომცველი საარჩევნო კამპანიისა და ქცევის კოდექსის შესამუშავებლად ითანამშრომლეთ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. ქცევის კოდექსი უნდა მოიცავდეს კონკრეტული პუნქტებს, რომლებიც შეეხება ქალი და კაცი კანდიდატებისადმი ერთნაირ მოპყრობას და მათთვის ერთნაირი შესაძლებლობების შექმნას.
- დარწმუნდით, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ თითოეული პარტიის საარჩევნო კამპანიისთვის შერჩეული დრო გენდერულად მგრძნობიარეა და თანაბარ პირობებში აყენებს ყველას.
- დარწმუნდით, რომ ქალები დაცულები არიან ძალადობისა და დაშინებისგან საარჩევნო კამპანიის რეგულაციებსა და ქცევის კოდექსში მითითებული შესაბამისი დებულებებით.
- დარწმუნდით, რომ პოლიტიკურ პარტიებს ესმით ამ დებულებების შესრულების მნიშვნელობა და აცნობიერებენ რა შეიძლება მოჰყვეს დაუმორჩილებლობას. ფორმალური ქცევის კოდექსის არარსებობის პირობებში, იმუშავეთ პოლიტიკურ პარტიებთან, რათა მიაღწიოთ არაფორმალურ შეთანხმებას კამპანიის დროს განხორციელებულ ქმედებებთან, ქცევასთან დაკავშირებით.
- უზრუნველყავით და მოითხოვეთ ქცევის კოდექსთან მკაცრი შესაბამისობა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მოახდინეთ შეთანხმების დამრღვევის დაჯარიმება.

გ) დავის გადაჭრა

- უზრუნველყავით, რომ მონაწილე ქალებს ესმოდეთ საარჩევნო დავის გადაჭრის და მოგვარების მექანიზმები და ისინი იყოს მათთვის ხელმისაწვდომი.
- მხარი დაუჭირეთ ქალთა ჩართულობას დავის გადაჭრის მექანიზმებში.
- დარწმუნდით, რომ დავის გადაჭრის მექანიზმები არ ახდენს ქალების დისკრიმინაციას.

დ) მედიის ხელმისაწვდომობა

- მხარი დაუჭირეთ ისეთ დებულებებს საარჩევნო კანონმდებლობაში, რომლებიც ხელს უწყობს მედიის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა კანდიდატისთვის;
- ითანშრომლეთ მედიასთან და საჯარო მაუწყებელთან, რომ დარწმუნდეთ თანაბარი საეთერო დრო აქვს დათმობილი ქალ და კაც კანდიდატებს, ეთერი დაბალანსებული, სამართლიანი და არადისკრიმინაციულია.
- დარწმუნდით, რომ მედია რეგულაციები შესაბამისობაში მოდის ქცევის კოდექსთან და რომ მკაცრად ისჯება ყოველი კანონდამრღვევი.



ე) უსაფრთხოება

- საარჩევნო უსაფრთხოების დაგეგმვის დროს გაითვალისწინეთ ქალი კანდიდატების უსაფრთხოება.
- ითანამშრომლეთ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, როგორებიცაა უშიშროების ძალები და პოლიტიკური პარტიები, რომ უზრუნველყოთ ქალი კანდიდატების დაცულობა ზეწოლისა და დაშინებისგან, საარჩევნო პროცესის განმავლობაში.
- ქალი კანდიდატებისადმი ზეწოლის, დაშინების ან ძალადობის შემთხვევაში უზრუნველყავით, რომ დამნაშავეები დაისაჯონ დაუყოვნებლივ და კანონის შესაბამისად.

ვ) ინფორმაციის მიწოდება და ნდობის განმტკიცების ღონისძიებები

- დაამყარეთ და შეინარჩუნეთ კონტაქტი პოლიტიკურ პარტიებთან საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, რათა ჩამოაყალიბოთ ურთიერთგაგება და ხელი შეუწყოთ მშვიდობიან და სამართლიან საარჩევნო გარემოს შექმნას, რომელშიც ქალები და მამაკაცები თანასწორები არიან.
- ქალი კანდიდატებისთვის ან პოტენციური ქალი კანდიდატებისთვის, ჩაატარეთ სპეციფიკური პარტიათაშორისი საინფორმაციო სესიები და ღონისძიებები.
- უმჯობესია, საარჩევნო ადმინისტრაციის ქალი წევრი იყოს საკონტაქტო პირი ქალებზე ძალადობისა და დარღვევების შესახებ შეტყობინებისათვის.
- პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს მიაწოდეთ ინფორმაცია საარჩევნო ოპერაციების, რეგულაციებისა და შესაბამისი ქცევის წესების შესახებ. ხაზი გაუსვით ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას, გენდერულ თანასწორობას და სამართლებრივ დებულებებთან შესაბამისობის საჭიროებას.
- შეხვდით ქალ კანდიდატებს, რათა დარწმუნდეთ, რომ მათ ესმით საკუთარი უფლებები საარჩევნო რეგულაციების მიხედვით, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას შეუძლია გასცეს ქალ კანდიდატებს კომპეტენტური პასუხები მათთვის პრობლემატურ საკითხებზე.

სექცია 7.6 კენჭისყრის დღე და პროცედურები

დემოკრატიის კონცეფცია საზოგადოებისთვის უფრო აქტუალური კენჭისყრის დღესა და პროცესის დროს ხდება. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების გამართვა არამხოლოდ თვალშისაცემია, არამედ საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ მკაცრი კონტროლის ქვეშ ექცევა. ერთ-ერთი საკვანძო ასპექტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არის ის, თუ რა დონით არიან ქალები და სხვა მარგინალური ჯგუფები, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ჩართულები პროცესში და აქვთ თუ არა შესაძლებლობა თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი აქტიური საარჩევნო უფლება ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და ვალდებულებების მიხედვით. კენჭისყრის გენდერულად მგრძნობიარე პროცედურების საფუძვლები უნდა გაიწეროს საარჩევნო ციკლის დაგეგმვისა და დანერგვის ეტაპზე, რაც ასევე მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას ზოგადად.

საუკეთესო პრაქტიკა – კენჭისყრის გენდერულად მგრძნობიარე პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებები

საარჩევნო უბნის თანამშრომლები

- უნდა მოხდეს ინსტრუქციების და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება, რათა კადრების დაქირავების დროს უზრუნველყოფილი იქნას გენდერული ბალანსი.
- ქალების ხელმძღვანელ პოზიციებზე დანიშნვის უზრუნველყოფა, მაგალითად: კადრების ოფიცერი, უბნის თავმჯდომარე და მოადგილე.
- სამუშაოს ფეფქტიანი შესრულებისთვის მაქსიმალურად უნდა დაუჭირონ მხარი ქალებს და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება. (მაგალითად, უსაფრთხოების გარკვეული ზომების გატარება მათი ტრანსპორტირებისას საარჩევნო უბანზე და უბნიდან, იმ შემთხვევაში თუ ისინი გადაადგილდებიან ღამით ან სახიფათო ადგილის გავლით).

ქალთა სადამკვირვებლო ჯგუფები

მსოფლიოში პირველად, ნეპალის საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია მიანიჭა მხოლოდ ქალებისაგან დაკომპლექტებულ სადამკვირვებლო მისიებს 2013 წლის ასამბლეის არჩევნებზე დასაკვირვებლად. დამკვირვებელთა ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენდნენ 30 სხვადასხვა ქალთა ორგანიზაციას, ქალთა ეროვნული კომისიის ხელმძღვანელობით აკვირდებოდა არჩევნებს. მათი დაკვირვებების საფუძველზე, დამკვირვებლებმა ქალებმა შეიმუშავეს ანგარიში, რომელიც შეიცავდა მიღებულ გამოცდილებასა და რეკომენდაციებს მომავალი არჩევნებისათვის, ნათლად წარმოაჩენდა იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროა კენჭისყრაში ქალთა მონაწილეობისათვის არსებული ბარიერების დასაძლევად.

- საარჩევნო უბნის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი გენდერულად მგრძნობიარე საკითხებზე და ასევე კენჭისყრის ისეთი პროცედურების შესახებ, როგორებიცაა სხვის მაგივრად ან ოჯახური ხმის მიცემა, რაც შეიძლება ნეგატიურად აისახოს ქალებზე (იხილეთ ქვემოთ).

უსაფრთხოება

- აუცილებელია უსაფრთხოების სამსახურებთან ახლო თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოების გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები და თავიდან ავიცილოთ ქალებზე ზეწოლა საარჩევნო უბნებზე. უსაფრთხოების კუთხით, გარკვეულ სიტუაციაში ქალები უფრო მეტად შეიძლება გახდნენ ზეწოლის მსხვერპლი, ვიდრე მამაკაცები. პირად თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე უსაფრთხოებისა და ღირსების განცდის ნაკლებობა ზღუდავს ქალების მიერ ხმის მიცემის, არჩევითი თანამდებობის ან საარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას.
- საჭიროა უსაფრთხოების სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა მოხდეს ქალების უსაფრთხოების თანამშრომლებად დაქირავება.



კენჭისყრის პროცესის წარმართვა

- საარჩევნო უბნის თანამშრომლებს უნდა ფლობდნენ ინფორმაციას სხვის მაგივრად ან ოჯახური ხმის მიცემის პრაქტიკის შესახებ. მათ არ უნდა დაუშვან იგი, ვინაიდან ისინი შეიძლება არაპროპორციულად, ნეგატიურად აისახოს ქალებზე.

ოჯახური ხმის მიცემა გულისხმობს შემთხვევას, რომლის დროსაც ორი ან მეტი ადამიანი ერთად შედის კაბინაში და ერთად აძლევს ხმას ან უმეტეს შემთხვევაში, ოჯახის თავკაცი თავად აძლევს ხმას ჯგუფის (მთელი ოჯახის) სახელით. ეს პრაქტიკა, როგორც წესი, მოიცავს ცოლ-ქმარს და წარმოადგენს კენჭისყრის ფარულობის საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას. ეს განსაკუთრებით ხშირია პატრიარქალურ საზოგადოებებში, სადაც ქალებისათვის დამოუკიდებელი არჩევანის თავისუფლება შეზღუდულია.

სხვის მაგივრად ხმის მიცემა გულისხმობს იმ შემთხვევას, რომლის დროსაც პიროვნება წარადგენს რამდენიმე ამომრჩევლის დოკუმენტს და მათ მაგივრად აძლევს ხმას. ეს პრაქტიკა უმეტესად გამოიყენება სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც განათლების შედარებით დაბალი დონეა და შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითად აისახოს ქალებზე.

- ფეხმძიმე და ბავშვიანი ქალებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ხანში შესული ქალებისა და მამაკაცებისთვის პრიორიტეტის მინიჭება ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.
- კენჭისყრისთვის მოსახერხებელი დროის შერჩევა, რომ ქალებმა იგი შეუთავსონ სამუშაოსა და ოჯახურ ვალდებულებებს.
- წერა-კითხვის უცოდინარი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის დახმარების აღმოჩენა.
- მარტივი დიზაინის ბიულეტენების შემუშავება, რათა არ მოხდეს წერა-კითხვის არმცოდნე ამომრჩევლების დისკრიმინაცია (იხილეთ სექცია 7.2 – ეს უნდა გავითვალისწინოთ დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში).
- სხვა გენდერულად მგრძნობიარე მექანიზმების შემოღება. მაგალითად, მარკირების დროს ამომრჩეველი ქალების, უბნის ქალი თანამშრომლების მიერ მარკირება.

საარჩევნო უბნის ლოჯისტიკა

- საარჩევნო უბნების უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ადგილებში განთავსება, რათა ქალებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა დაბრკოლებების გარეშე მოახერხონ მისვლა და ხმის მიცემა.
- ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა უბნებზე. მაგალითად, ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთათვის პანდუსების ან საარჩევნო უბანზე ტუალეტის არქონამ, შესაძლოა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ამომრჩეველ ქალებს დაუკარგონ საარჩევნო უბანზე მისვლის სურვილი.
- სათანადო რაოდენობის საარჩევნო უბნების უზრუნველყოფა, რათა ამომრჩევლებს არ მოუწიოთ რიგში დგომა ან შორ მანძილზე გადაადგილება. ხანგრძლივმა რიგებმა და დიდ მანძილზე გადაადგილების საჭიროებამ შეიძლება დაუკარგოს ქალ ამომრჩევლებს უბანზე მისვლის სურვილი დროის სიმცირის გამო, მათი სამსახურ-

რებრივი თუ ოჯახური ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით. დამატებით, იმ ქვეყნებში, სადაც გენდერული ნორმები უკრძალავენ ქალებს თავისუფლად გადაადგილებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქალები მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას, როდესაც მოშორებით მდებარე უბანზე ისინი მამაკაცი ოჯახის წევრის თანხლებით უნდა მივიდნენ.

- მობილური საარჩევნო უბნების გამოყენება ქვეყნის განაპირა დასახლებებში.
- ქალებისთვის ცალკე საარჩევნო უბნის გახსნა (თუ ეს შესაძლებელია), რომელიც მხოლოდ ქალი თანამშრომლებით იქნება დაკომპლექტებული. ოჯახური და სხვის მაგივრად ხმის მიცემის თავიდან ასაცილებლად ეს ასევე შეიძლება ეფექტური საშუალება იყოს ისეთ ქვეყნებში, სადაც ასეთი პრაქტიკა ხშირია. ცალკე საარჩევნო უბნის შემთხვევაში, ადგილმდებარეობა და მოწყობა უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ქალები არ გრძნობდნენ თავს ისე, თითქოს მათ მამაკაცები აკვირდებიან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ კულტურულ გარემოში, სადაც ქალებს არ აქვთ სახის გამოჩენის უფლება, თუმცა მათ ეს მოეთხოვებათ პიროვნების იდენტიფიცირებისთვის ხმის მისაცემად. ასევე, გასათვალისწინებელია დათვლამდე ბიულეტენების ერთმანეთში შერევის შესაძლებლობა ქალებისა და მამაკაცების უბნებიდან (ბიულეტენების ბალანსის დადგენის შემდეგ), რათა თავიდან ავიცილოთ კონკრეტული გენდერული ჯგუფების მიერ გაკეთებულ არჩევანში ტენდენციების შესაძლო გამოვლენა.

ქალებისა და მამაკაცებისთვის ცალ-ცალკე საარჩევნო უბნების შექმნა

იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური ნორმები კრძალავს ოჯახის მიღმა ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობას, ცალ-ცალკე საარჩევნო უბნების გახსნამ შეიძლება ქალებში გაზარდოს არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. ათობით ქვეყანას შექმნილი აქვს ცალ-ცალკე უბნები ქალებისა და მამაკაცებისთვის. ესენია, მაგალითად, ავღანეთი, ინდოეთი, პაპუა-ახალი გვინეა, ლიბია, ნეპალი, შრი-ლანკა, ბანგლადეში, იემენი, პაკისტანი, ალჟირი და ზანზიბარი.

წყარო: სისტემები ქალებისა და მამაკაცებისთვის ცალ-ცალკე საარჩევნო უბნებით (ACE)

საარჩევნო ადმინისტრაციასთან მუშაობა საარჩევნო უბნის თანამშრომელი ქალების რაოდენობის გაზრდის მიზნით კამპოჯაში

საარჩევნო უბნის თანამშრომელი ქალების რაოდენობის გაზრდის მიზნით, კამპოჯის ეროვნულმა საარჩევნო კომისიამ დიდი შრომა გაწია IFES/USAID-ის მიერ დაფინანსებული ლიდერი ქალების პროგრამის მხარდასაჭერად. პროგრამის ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციისა და ლიდერის უნარ-ჩვევების თემატიკაზე ტრენინგი გაიარა 490-მა ქალმა მთელი კამპოჯიდან. ეროვნული საარჩევნო კომისიის საარჩევნო მოხელეები ესწრებოდნენ ტრენინგებს, როგორც მოწვეული სპიკერები და ეხმარებოდნენ კენჭისყრისა და დათვლის მოდულების ჩატარებაში. ტრენინგების შემდეგ ადგილობრივი მოხელეები ესწრებოდნენ მონაწილეთათვის მოწყობილ რეგიონულ ფორუმებს, სადაც აწვდიდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ შეეტანათ განაცხადი ეროვნულ საარჩევნო კომისიაში თანამდებობის დასაკავებლად, განსაკუთრებით კი 2012 წლის კომუნის საბჭოსა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. ტრენინგების და ეროვნული საარჩევნო კომისიის პროაქტიური ქმედებების შედეგად 196-დან 173 ადამიანს შესთავაზეს სამსახური 2012 წლის კომუნის საბჭოს არჩევნების დროს და 325-დან 209 ადამიანს – საპრეზიდენტო არჩევნებისას.



„მე მჯერა, რომ თუ დატრენინგებულები მომავალში იმუშავენ, როგორც საარჩევნო მოხელეები, ყველა არჩევნები იქნება უფრო მეტად გამჭვირვალე.“

ბატონი ტაჩ სეთა, კანდალის პროვინციის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.



„პროგრამა დამეხმარა გამეგო თუ რატომ არის არჩევნები ასე მნიშვნელოვანი და რატომ უნდა იყვნენ ქალები ამ პროცესში ჩართულნი. ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მან მომცა ნათელი წარმოდგენა ქალების როლზე, პასუხისმგებლობებზე და კენჭისყრის პროცედურებზე. ვგეგმავ გავაგრძელო კამპოჯაში არჩევნების სფეროში მუშაობა.“

დუკ რადალიმ მონაწილეობა მიიღო ლიდერი ქალების პროგრამაში და წარმატებით დაიკავა პროვინციის საარჩევნო კომისიის უფროსი მოადგილის თანამდებობა 2012 წლის კომუნის საბჭოს არჩევნების დროს.

სექცია 7.7 შედეგების შეჯამება

კენჭისყრის დასრულების შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს დათვლისა და შეჯამების პროცესი, ასევე საარჩევნო დავის განხილვის პროცესის გენდერული მგრძნობიარობა.

საუკეთესო პრაქტიკა, საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებები შედეგების შეჯამების გენდერული მგრძნობიარობის უზრუნველსაყოფად

შედეგების დათვლა და შეჯამება

- ბიულეტენის ნამდვილობის უზრუნველყოფი წესები არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარი და გაუნათლებელი ადამიანების, რომელთა შორის მრავალი იქნება ქალი, დისკრიმინაცია. არსებობს ზოგადი წესი: თუ ბიულეტენზე ამომრჩევლის ნება ნათლად არის გამოხატული – იგი ნამდვილია.
- ისეთი მექანიზმების არსებობის უზრუნველყოფა (მათ შორის საარჩევნო უბნის თანამშრომელთა ტრენინგი), რომლებიც რეაგირებენ ქალი კანდიდატების წინააღმდეგ მიმართული გაყალბების მექანიზმებზე.
- ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ გენდერული მონაცემების და არჩეული ქალებისა და მამაკაცების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.
- არჩევნების შედეგების განთავსება გასაგები ფორმით და ისეთ ადგილას, სადაც ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.
- მონაცემების შეჯამების პროცესის, განსაკუთრებით კი შედეგების შეჯამების მონიტორინგი, რათა შესაბამისი ზომები მიიღონ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების შეგროვება არ ხდება.

„პაკისტანის საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 11 მაისის საერთო არჩევნების დროს, პირველად შეაგროვა ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები ქალ ამომრჩეველთათვის გახსნილი უბნების ბიულეტენების გადათვლის გზით. თუმცა, გაეროს არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა, რომ პრაქტიკულად გადათვლა არ მომხდარა და შედეგებმა ოქმებში ასახვა ვერ პოვა.“

წყარო: გაეროს არჩევნების სადამკვირვებლო მისია (2013).
პაკისტანი: საბოლოო ანგარიში. http://www.eueom.eu/files/pressreleases/english/eu-eom-pakistan-2013-final-report_en.pdf

დავის და გასაჩივრების პროცესი უნდა შეიცავდეს:

- საარჩევნო დავის განხილვას. გასაჩივრების პროცესი უნდა იყოს ნათელი და მარტივი, რათა არ მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარი, გაუნათლებელი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების დისკრიმინაცია.
- ისეთი შემთხვევების გამოძიებას, როდესაც ქალმა კანდიდატებმა მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა, რათა დადგინდეს იყო თუ არა მათზე ზეწოლა.
- იმის უზრუნველყოფა, რომ ქალები წევრის სტატუსით წარმოდგენილნი არიან ნებისმიერ ადმინისტრაციულ ან სასამართლო უწყებაში, რომელიც იხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებს.
- ქალებისთვის საარჩევნო დავის განხილვის და გასაჩივრების პროცედურების, როგორც ამომრჩეველთა განათლების კამპანიის ნაწილის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- საარჩევნო დავის განხილვის და გასაჩივრების პროცესისადმი ქალების თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის შეფასების უზრუნველყოფას, რაშიც ასევე მოიაზრება არაფორმალური ან ალტერნატიული სამართლის მექანიზმები.
- საჩივრის წარმდგენი ქალების მხარდაჭერას, განსაკუთრებით მათი, ვისაც შესაძლოა, განსაკუთრებული საჭიროებები ჰქონდეთ, როგორებიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან წერა-კითხვის უცოდინარი ქალები.
- იმ მონაცემების ანალიზს, რომლებიც შეეხება ქალი ამომრჩევლებისა და კანდიდატების მიერ წარდგენილ საჩივრებს; მაგ. საჩივრების რაოდენობა, თემატიკა ან ინციდენტის ადგილმდებარეობა. ეს ყოველივე მოგვცემს ფასდაუდებელ მონაცემებს არჩევნების ტენდენციებისა და გადაწყვეტილებების შესახებ.

არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკა საქართველოში

2014 წელს, პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში, მოხდა საარჩევნო სიაში დამატებითი მონაცემების – სურათისა და სქესის შემოღება. ამან საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) საშუალება მისცა, შეეჯამებინა და გამოექვეყნებინა ინფორმაცია კენჭისყრის დღეს ამომრჩეველ ქალთა აქტივობის შესახებ. გენდერულად დიფერენცირებული სიის მიხედვით, საქართველოში 3,472,772 -დან 1,866,514 (54 პროცენტი) ქალი ამომრჩეველია. მთელი ქვეყნის მასშტაბით მიცემული ხმების 50.2% (1,485,350) ეკუთვნოდათ ქალებს. საქართველოს დედაქალაქის, თბილისის შემთხვევაში ეს ციფრი 55.94 -მდე იზრდება. ცესკომ 2014 წლის არჩევნების შემდგომ გამოსცა დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციას და პოლიტიკური თანამონაწილეობის შედარებას ქალებსა და მამაკაცებს შორის (როგორც აქტიურს, ისე პასიურს).

საქცია 7.8 არჩევნების შემდგომი პერიოდი

არჩევნების შემდგომი პერიოდი, როგორც წესი, საარჩევნო ციკლის ყველაზე ხანგრძლივი პროცესია და საშუალებას აძლევს საარჩევნო ადმინისტრაციას განახორციელოს არჩევნების და სხვადასხვა საარჩევნო ღონისძიების ანალიზი გენდერულ ჭრილში. ამ პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაცია ნაკლებად არის დატვირთული საორგანიზაციო საქმეებით და ნაკლებად განიცდის სხვადასხვა ტიპის პოლიტიკურ ზეწოლას. შესაბამისად, ეს პერიოდი საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს და ჩატარებული ანალიზის და მიღებული გამოცდილების საფუძველზე დაგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც გაზრდიან გენდერულ თანასწორობასა და მომავალ არჩევნებში ქალთა სრულ მონაწილეობას. მთავარ სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთობების დამყარება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და უზრუნველყოფს გამჭვირვალე და მდგრადი მიდგომის ჩამოყალიბებას, ასევე პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ საარჩევნო პროგრამებისა და პროცედურების შემუშავების დროს გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

საუკეთესო პრაქტიკა ქალებთან დაკავშირებულ არჩევნების შემდგომ ღონისძიებებთან მიმართებით

არჩევნების შემდგომი ანალიზი და ანგარიში

- არჩევნების შემდგომი გენდერული ანალიზის გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდება მთავარი შიდა და გარე ჩართული მხარეები. ამ მხარეებთან საჭიროა კონსულტაციები და სხვადასხვა საკითხის განხილვა. გეგმა უნდა შეიცავდეს თემატურ შეხვედრებს გენდერული რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის საკითხების განსახილველად; ასევე აუცილებელია, არჩევნების შემდეგ შეხვედრების საკითხთა ნუსხაში გენდერული კომპონენტის შეტანა.
- შიდა და გარე ჩართული მხარეების შეკრება ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე სხვადასხვა საარჩევნო პროცესის თუ ღონისძიების გენდერულ პრიზმაში განხილვის მიზნით. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ამ პროცესში, როგორც საკონსულტაციო მხარე, ჩართულები იყვნენ ქალთასადამკვირვებლო ჯგუფები. ჯგუფებში უნდა შედიოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები და გოგონები.
- ქალების წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო ზეწოლის მაგალითების, ქალთა მონაწილეობაზე და ზოგადად საარჩევნო პროცესზე მათი გავლენის შესწავლა და ანალიზი.
- გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების ანალიზი (ქალების აქტივობა არჩევნებზე, ქალთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, ქალთა მიერ მოპოვებული თანამდებობების რაოდენობა და ქალების, როგორც საარჩევნო მოხელეების, დამკვირვებლების და აგენტების მონაწილეობა), რათა გამოვლინდეს რომელი ინდიკატორები გაითვალისწინეს წინასაარჩევნოდ და რომელ მიზნებს მიაღწიეს, ან პირიქით – თუ ვერ მიაღწიეს, რა იყო ამის მიზეზი.
- ფოკუს ჯგუფების ჩატარება ამომრჩევლებთან, კანდიდატებთან ან საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელ ქალებთან, რათა მათი მხრიდან მივიღოთ არჩევნების და არჩევნების თანმდევი პროცესების შეფასება.

- სამართლებრივი რეფორმის სფეროების ანალიზსა და მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას მომავალი არჩევნებისთვის.
- „გენდერის და არჩევნების“ ანგარიშის მომზადება, რომელიც უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს მომავალი ნაბიჯებისათვის. ამ ანგარიშის სხვადასხვა ჩართული მხარეებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ვებ-გვერდზე განთავსება.
- საარჩევნო ადმინისტრაციის ყოველწლიურ ანგარიშში გენდერის გავლენის სექციის დამატება.
- პროცესში ჩართულ მხარეებთან შეხვედრა გენდერული ანალიზის შედეგების, მიღებული გამოცდილების და რეკომენდაციების გასაზიარებლად.
- გენდერთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის შენახვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოღვაწე ქალთა ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება, რომლებიც ჩართულნი იყვნენ უკანასკნელ არჩევნებში, ქალების მონაწილეობის ადვოკატირების პროცესში.



სურათზე ასახულია IFES-ის ორგანიზებით გამართული გენდერისა და არჩევნების BRIDGE-ის ტრენინგი ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის

განათლება, შესაძლებლობების ზრდა და ორგანიზაციული განვითარება

ა) გარე

- საზოგადოების ცნობიერების გაზრდა საარჩევნო პროცესების შესახებ სამოქალაქო და ამომრჩეველთა განათლების ღონისძიებების მეშვეობით, უკანასკნელი არჩევნების და მისი შემდგომი ანალიზის საფუძველზე.
- არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარება, რაც ხელს შეუწყობს არჩევნებში ქალთა მონაწილეობის ზრდას.
- სხვა საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

ბ) შიდა

- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე.
- ქალების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ტრენინგების მეშვეობით.
- საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერულ საკითხებზე მომუშავე განყოფილების ორგანიზაციული განვითარება.
- ქალების დაქირავება ორგანიზაციის ყველა დონეზე, განსაკუთრებით კი შუალედურ და წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე.



- ქალთა საკითხებზე კვლევის ჩატარება, მაგალითად, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, საარჩევნო დავებზე, ქალთა წინააღმდეგ ძალადობაზე, შშმ ქალებზე. მომავალ გეგმებში მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების გათვალისწინება.
- გენდერული სტრატეგიების და ორგანიზაციული შინაგანაწესების განხილვა და გენდერული ანალიზი.
- საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის გენდერულად მგრძნობიარე ანალიზის ჩატარება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

საარჩევნო პროცესები

- სხვადასხვა საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციის ღონისძიებების დაგეგმვა და ბიუჯეტირება მომავალი არჩევნებისთვის.
- ბიუჯეტის დანაკლისის შემთხვევაში, თანამშრომლობის დამყარება დონორებთან და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების შესახებ წინადადებების მომზადება.
- ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რაც გააუმჯობესებს საარჩევნო პროცესს გენდერულ ჭრილში.
- შესაბამის ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ სამართლებრივი რეფორმისთვის.
- ახალი მექანიზმების დამატებით საარჩევნო სიებში ცვლილებების განხორციელება, ამომრჩეველ ქალთა რეგისტრაციის გაზრდის მიზნით. ცვლილებების განხორციელების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არჩევნების შემდეგ ჩატარებული ანალიზის შედეგები.

სექცია 8 გენდერი და შეზღუდული შესაძლებლობები

ქალები ხშირად ორმაგ დისკრიმინაციას განიცდიან თავიანთი გენდერული სტატუსისა და ინვალიდობის გამო. შშმ ქალებს, ნაკლებ სავარაუდოა, ისევე მიუწვდებოდეთ ხელი სათანადო განათლებასა და ტრენინგებზე, ჯანდაცვასა და რეაბილიტაციაზე ან დასაქმების შესაძლებლობებზე, როგორც ჯანმრთელ ქალებს. შედეგად, ისინი უმეტესად ცხოვრობენ გაჭირვებასა და იზოლაციაში, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას მოწყვეტილნი.

USAID-ის მიხედვით¹², შშმ ქალები შეადგენენ შშმპ-ს სამ მეოთხედს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. შშმ პირების ასეთი მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს, რომლებიც დამატებით ბარიერს აწყდებიან თანასწორობის კუთხით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ყველა პირობა, რათა ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში.

საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ამომავალი წერტილი უნდა იყოს საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი ინსტრუმენტების ანალიზი, რომელიც შეეხება შშმ პირებს. საერთაშორისო პერსპექტივიდან, უმნიშვნელოვანესი კი არის გაეროს 2008 წლის კონვენცია შშმ პირთა უფლებების შესახებ (CPRD). მისი მე-6 მუხლი, რომელიც შშმ ქალებს და მათ უფლებებს ეხება, ასევე აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას ისინი. მეტიც, 29-ე მუხლი ეხება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, წინა პლანზე წამოწევს შშმ პირების პოლიტიკურ უფლებებს. ეს მუხლები მოკლედ მოყვანილია ქვემოთ.

მუხლი 6: შშმ ქალები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. სახელმწიფოებმა ყველა შესაბამის ზომებს უნდა მიმართონ, რათა მათ მიიღონ ამ კონვენციით გამყარებული ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორად სარგებლობის გარანტია.

მუხლი 29: პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სრული მონაწილეობის უფლება აქვთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისევე როგორც, ხმა მისცენ და იყვნენ არჩეულნი.

¹² ქალები შეზღუდული შესაძლებლობებით, აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტო, www.usaid.gov/what-we-do/gender-equality-and-womens-empowerment/women-disabilities.

შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მუხლების დანერგვა საქართველოში

საქართველომ გაეროს 2008 წლის კონვენციის შშმ პირთა უფლებების შესახებ (CPRD) რატიფიცირება მოახდინა 2013 წლის, 26 დეკემბერს. შესაბამისად, 2014 წლის, 20 იანვარს შემუშავდა მთავრობის 2014-2016 წწ. სამოქმედო გეგმა შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის თაობაზე. ეს სამოქმედო გეგმა ეფუძნება კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებსა და ვალდებულებებს და გულისხმობს შშმ პირების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, სხვა მრავალ ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად. კონვენციასთან შესაბამისობის განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტი არის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჯარო დაწესებულებებში, მაგ. სკოლებში, საავადმყოფოებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, ქალაქის ქუჩებსა და საარჩევნო უბნებში.

წინამდებარე ბროშურის მეოთხე სექცია ხაზს უსვამს, რომ ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში შეიძლება შეიზღუდოს მრავალი ინსტიტუციური, სოციალური თუ კულტურული ბარიერით, რომლებიც შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს ინვალიდობით. მაგალითად:

- მოქალაქეებად ან ამომრჩევლებად რეგისტრაციის მოთხოვნები ხშირად ართულებს ქალების რეგისტრაციას დისკრიმინაციული სამოქალაქო კანონმდებლობის გამო. ეს პრობლემა შეიძლება კიდევ უფრო ართულებდეს მდგომარეობას შშმ ქალებისა და გოგონებისათვის.
- საარჩევნო რეგისტრაცია შეიძლება ხშირად მოითხოვდეს რიგში ხანგრძლივად დგომას და დიდ მანძილზე გადაადგილებას ხმის მისაცემად. ეს ორივე შეიძლება რთულად შესასრულებელი იყოს შშმ ქალებისთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ შშმ ქალების 65-70 პროცენტი ცხოვრობს ქალაქიდან მოშორებით.¹³
- გენდერის ნიშნით საარჩევნო ზეწოლამ, შეიძლება ხელი შეუშალოს ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას. შშმ ქალებს სამჯერ უფრო მეტი საფრთხე ემუქრებათ ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის კუთხით.¹⁴
- ქალებს ხშირად არ აქვთ სათანადო ინფორმაცია საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რაც გამოწვეულია ქალებში განათლების დაბალი დონით. შშმ ქალებისთვის ეს პრობლემა კიდევ უფრო მძიმეა, ვინაიდან მსოფლიო განათლებულობის დონე შშმ პირებში არის საგრძნობლად დაბალი.¹⁵ მეტიც, შევადაროთ შშმ გოგონების 42 პროცენტი შშმ ბიჭების 51 პროცენტს მსოფლიო მასშტაბით. გოგონებს საგრძნობლად ნაკლები შანსი აქვთ დაწყებითი სკოლის დამთავრების, ვიდრე ბიჭებს. ამას თავისი უარყოფითი გავლენა აქვს შშმ ქალების არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობებზე, გამომდინარე, ერთი მხრივ, მათი ხმის მიცემის უფლების

13 „ფაქტობრივი გზამკვლევი: ძალადობა შშმ ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ“ ქალთა დამკვირვებელი. გაერო.

14 მსოფლიო ბანკი/იელის უნივერსიტეტი (აპრილი 2004). „შიდსი და ინვალიდობა: ფარული ხმები“

15 UN Enable. „UN Enable-ის ფაქტობრივი გზამკვლევი შშმ პირების შესახებ“ გაერო.

გათვითცნობიერებით და დამოუკიდებელი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობით, მეორე მხრივ, მათ მიერ საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმებთან ხელმისაწვდომობის კუთხით.

- კულტურული ტრადიციების არსებობა, რომლებიც ზღუდავს ქალების დამოუკიდებლობას ან მათ მიერ დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, ხშირად იწვევენ სხვა პირის მეშვეობით ან ჯგუფურ ხმის მიცემას. შშმ ქალების შემთხვევაში, რომლებიც კიდევ უფრო დამოკიდებულები არიან ოჯახის წევრებზე, ეს რისკი ერთიორად იზრდება.
- ქალები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ხოლო შშმ ქალების წარმომადგენლობა კიდევ უფრო მცირეა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, მსოფლიოს დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენენ შშმ პირები. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ნეპალში შშმ პირების რაოდენობა არის დაახლოებით 4 მილიონი (ნეპალის სტატისტიკის ბიუროს 2012 წლის მონაცემების გამოყენებით). ვინაიდან ქალები ნეპალის მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ შშმ ქალების რაოდენობა შეიძლება აღწევდეს 2,046,700.

წინამდებარე გამოცემაში ხაზგასმულია შშმ ქალების განსაკუთრებული საჭიროებების აღიარების მნიშვნელობა. საარჩევნო ციკლის ჩარჩოზე დაყრდნობით, ქვემოთ მოყვანილია საარჩევნო ადმინისტრაციების საუკეთესო პრაქტიკა შშმ ქალების მონაწილეობის გაზრდისათვის.

საარჩევნო ადმინისტრაციის წარმატებული პრაქტიკა

- საარჩევნო უბნის შენობების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- საარჩევნო ადმინისტრაციის შენობებში შშმ პირების შესახებ პოზიტიური სურათებისა და პლაკატების გამოფენა.
- შშმ ქალების დასაქმება. იმ სამუშაოთა ნუსხის განსაზღვრა, რისი შესრულებაც შეუძლიათ შშმ ქალებს და მათი შემდგომი დაქირავება.

1. სამართლებრივი ჩარჩო

- გენდერულ ჭრილში საერთო სამართლებრივი რეფორმის განხორციელებისას შშმ ქალთა საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- საარჩევნო უფლების განხორციელებისთვის დაწესებული ქმედითობა, დაკავშირებული შეზღუდვების გაუქმება.
- შშმ პირთა თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვა შშმ პირთა უფლებებზე ორიენტირებული საარჩევნო კანონმდებლობის, მათ შორის ქცევის კოდექსის, შემუშავების პროცესში.



„მე ვარ ფილიპინების საარჩევნო კომისიის შვიდ ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთი. იმედი მაქვს, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც შშმ ქალები მხედვენ, მათ თვალწინ უდგათ ხილული მაგალითი, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მათ არ ძალუძთ საკუთარი პოტენციალის რეალიზება. გამოწვევები, მართლაც, უფო მძიმეა, თუმცა – არა დაუძლეველი. მათთვის პირველი დიდი ნაბიჯი არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არჩევნების გზით. სწორედ ამიტომაც ვმუშაობ, რომ შშმ პირები იყვნენ ჩვენი პარტნიორები და არა მხოლოდ ჩვენი საარჩევნო პროგრამებისა და რეფორმების ბენეფიციარები. მე მოვანერხე შშმ პირთა ინტერესების ჩვენ გადაწყვეტილებებში და სამართლებრივ აქტებში დაფიქსირება და შესაბამისად, ეს აღარ იქნება დამატებითი, მეორეხარისხოვანი ფაქტორი.

ჩვენი კომიტეტი პასუხისმგებელი იყო ახალი წესებისა და რეგულაციების შემუშავებაზე, რომლებიც გამომდინარეობდა ახალი კანონმდებლობიდან, რის თანახმადაც, საარჩევნო უბნები უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი, როგორც შშმ ამომრჩევლებისათვის, ისე ხანში შესული პირებისათვის. ჩვენ მოვიპოვეთ შშმ პირების თანხმობა და მოწონება. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მე ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ შშმ ქალების იდეები და წვლილი ყოველთვის გათვალისწინებულ იქნას, ვინაიდან ეს არის საუკეთესო გზა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ სექტორის მხარდაჭერა ჩვენი პრობლემატიკის კუთხით კიდევ დიდხანს გაგრძელდება, კომისიაში ჩემი ვადის ამოწურვის შემდეგაც.“

კომისიის წევრი გრეის პადაკა, ფილიპინების საარჩევნო კომისია

2. დაგეგმვა და განხორციელება

- საარჩევნო პროცესის გენდერული ანალიზის დროს, რეგულაციებისა და ღონისძიებების შუამდგომლობების საჭიროებების გათვალისწინებით განხილვა. მონაწილეობის წინაშე მდგარი ბარიერების და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. შუამდგომლობების ანალიტიკურ საქმიანობაში და გადაწყვეტილების პროცესში ჩართვა.
- საოპერაციო გეგმების, პროცესების, შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავება შუამდგომლობების ინტერესების გასათვალისწინებლად.
- წესების შემუშავება პრიორიტეტული კენჭისყრის შესახებ.
- ალტერნატიული კენჭისყრის მეთოდების შესახებ ინსტრუქციების შემუშავება, მაგ. წინასწარი კენჭისყრა ან გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენება.
- საარჩევნო უბნის მოწყობა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
- გამადიდებელი შუშების, ეტლით მოსარგებლეთა საარჩევნო კაბინების, ბრაილის შრიფტიანი სტიკერების, დიდტარიანი კალმების და სხვა მასალების შეძენა, რაც დაეხმარება შუამდგომლობების ამომრჩევეებს.
- ბრაილის შრიფტიანი ბიულეტენის ჩარჩოს გამოყენების ინსტრუქციის შემუშავება.
- მარტივი დიზაინის ბიულეტენის შემუშავება, რათა არ მოხდეს შუამდგომლობების დისკრიმინაცია.
- ინვალიდობის მქონე დამკვირვებლების აკრედიტაცია.
- ღონისძიებების ანალიზი, მონიტორინგი და შეფასება შუამდგომლობების საჭიროებების მიხედვით.
- შუამდგომლობა შესახებ გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება.

3. განათლება და ტრენინგი

- შუამდგომლობების საჭიროებების ანალიზი ამომრჩეველთა განათლების სფეროში.
- მიზნობრივი მესიჯების, მასალების და ამომრჩეველთა განათლების შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც განკუთვნილია შუამდგომლობებისთვის და ხაზს უსვამს ყველა სპეციალურ ღონისძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას.
- ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალები უნდა შეიცავდნენ შუამდგომლობის შესახებ პოზიტიური სურათებს.
- შუამდგომლობა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ამომრჩეველთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.
- ტრენინგების შედეგების ენის სწავლება.
- საარჩევნო მასალების დაბეჭდვა ბრაილისა და დიდი ზომის შრიფტით.
- მრავალფეროვანი შეზღუდული შესაძლებლობების თემაზე ტრენინგის ჩატარება, როგორცაა BRIDGE-ის მოდული, რათა ამაღლდეს ცნობიერება შუამდგომლობის საჭიროებების შესახებ. შუამდგომლობა საჭიროებები უნდა იყოს ამ ტრენინგის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.
- საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული განვითარება, რათა მათ ჩაატარონ ისეთი ტრენინგები, რომლის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დროსაც მხედველობაში მიიღებენ შუამდგომლობის საჭიროებებს.

- შშმ პირთა პრობლემატიკის გათვალისწინება საარჩევნო უბნის სახელმძღვანელოში და ასევე საარჩევნო უბნის თანამშრომელთა ტრენინგი შშმ პირთა მიერ ხმის მიცემის შესახებ.
- შშმ ქალების საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგებზე დაპატიჟება.



4. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად იმის განსაზღვრა, უნდა იყოს თუ არა ინვალიდობა მითითებული პირადობის მოწმობაში.
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის შემუშავებისა და დანერგვის დროს იმ ბარიერების გამოვლენა და ანალიზი, რომლებსაც აწყდებიან შშმ ქალები ამომრჩეველად დარეგისტრირებისას. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში შშმ ქალებს შეიძლება პრობლემები შეექმნათ მოქალაქის სტატუსის ან პირადობის მოწმობის მიღებასთან დაკავშირებით.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სათანადო პირადობის, დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- ისეთი პროცედურების შემუშავება და დანერგვა, რომლებიც დაეხმარებიან შშმ ქალებს მონაწილეობა მიიღონ ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესში.
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი უნდა ასახავდეს გენდერულად დიფერენცირებულ მონაცემებს შშმ პირების შესახებ.

- ამომრჩეველთა განათლების თემატური კამპანიების შემუშავება და დანერგვა შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა იცოდნენ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი რეგისტრაცია და როგორ უნდა გაიარონ იგი.
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის მასალები უნდა შეიცავდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ჩართულობის გამომხატველ პოზიტიური სურათებს.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებების შესახებ ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ საჩივრის შეტანის თაობაზე და მათ უნდა აღმოუჩინონ ყველა სათანადო მხარდაჭერა თუ ისინი გადაწყვეტენ საჩივრის შეტანას.
- ამომრჩეველთა რეგისტრაციის ჯგუფების ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ მგრძნობიარობაში.
- ამომრჩეველთა ხელმისაწვდომი რეგისტრაციის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

5. საარჩევნო კამპანია

- იმის უზრუნველყოფა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს აქვთ ინფორმაცია და ესმით საარჩევნო დავების გადაწყვეტის მექანიზმები და იგი მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

6. კენჭისყრის პროცედურები, კენჭისყრის დღე და შეჯამება

- საარჩევნო უბნების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მაგ. პანდუსები, ეტლით მოსარგებლეთა საპირფარეშოები და ა. შ.
- საარჩევნო უბნებში შშმ ქალებისათვის შესაფერისი თანამდებობების განსაზღვრა და მათი დაქირავება.
- უსაფრთხოების სამსახურის მიერ შშმ ქალების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის ფლობის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა.
- შშმ ქალების უპირატესი ხელმისაწვდომობის და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა.
- შშმ ამომრჩეველთა სეგრეგირებული ინფორმაციის შეგროვება.
- არჩევნების შედეგების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომ ფორმატში და შესაბამის ადგილას განთავსება.
- საარჩევნო დავის განხილვის პროცესის ხელმისაწვდომობის და საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა შშმ პირთათვის.

7. არჩევნების შემდგომ

- ხელმისაწვდომობის საკითხის არჩევნების შემდგომ განსახილველ საკითხთა ნუსხაში შეტანა.
- შშმ თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების არჩევნების შემდგომ განხილვებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- მომავალი არჩევნების დაგეგმვისთვის იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც მიმართულია შშმ პირების ხელმისაწვდომობის და განსაკუთრებით კი, შშმ ქალების საჭიროებების გასათვალისწინებლად.
- შეზღუდული შესაძლებლობების თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება.

მიანმარის ერთიანი საარჩევნო კომისია

გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით ხელმისაწვდომი არჩევნებისთვის მუშაობა

ხუთწლიანი სამხედრო მმართველობის შემდეგ, მიანმარმა შესამჩნევი პროგრესი განიცადა დემოკრატიის კუთხით 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პროცესში. ამ მზადების სათავეში დგას ერთიანი საარჩევნო კომისია, რომელიც ამზადებს გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით ხელმისაწვდომ არჩევნებს.

ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს ერთიანი საარჩევნო კომისიის სტრატეგიული დაგეგმვის კომიტეტის წევრები, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი და საარჩევნო კომისიის წევრები პირველად შეხვდნენ ქალთა ჯგუფებსა და შეზღუდული შესაძლებლობების თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებს – იმ მიზნით, რომ გაეთვალისწინებინათ მექანიზმები, რომლებიც გააუმჯობესებდა საარჩევნო პროცესის ხელმისაწვდომობას.

ამ კონსულტაციების შედეგად, ერთიანმა საარჩევნო კომისიამ შეძლო დაედგინა ბარიერები, რომლებსაც აწყდებიან ქალები, განსაკუთრებით კი, შშმ ქალები, ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორებიცაა ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ამომრჩეველთა განათლება, კენჭისყრის დღის პროცედურები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა. პროცესის ზემოხსენებულ მონაწილეებთან ერთად ერთიანმა საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ერთიანი საარჩევნო კომისია ასევე ატარებს ყოველთვიურ შეხვედრებს ქალთა ჯგუფებთან და შეზღუდული შესაძლებლობის თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რათა გაზარდოს საარჩევნო მასალების ხელმისაწვდომობა და გენდერული მგრძნობელობა. ერთიან საარჩევნო კომისიასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის მუდმივმა პარტნიორობამ გააუმჯობესა საარჩევნო პროცესი ადამიანის უფლებებისა და ხელმისაწვდომობის ქრილში.

ბიბლიოგრაფია

ACE (Administration and the Cost of Elections) Project: The Electoral Knowledge Network <http://www.quotaproject.org/>.

BRIDGE (Building Resources on Democracy, Gender and Elections) Gender and Elections Training Module.

DPKO/DFS – DPA Joint Guidelines on Enhancing the Role of Women in Post Conflict Electoral Processes, October 2007. United Nations, Department of Peacekeeping Operations and Department of Field Support in Cooperation with the Electoral Assistance Division of the Department of Political Affairs.

Electoral Management Design, the International IDEA Handbook, 2006.

Equal Access: How to Include Persons with Disabilities in Elections and Political Processes, IFES and NDI, 2014.

Factsheet on Persons with Disabilities, United Nations, accessed July 2014.

Factsheet: Violence against Women and Girls with Disabilities, UN Women, 2013.

Gender Equality in Political Party Funding, chapter 9, Julie Ballington. Funding of Political Parties and Elections Campaigns, International IDEA, 2003.

Gender Checklist for Free and Fair Elections in Southern Africa, 2002. Southern African Development Community (SADC) and Electoral Support Network (ESN).

Gender Equality in Political Party Funding, Julie Ballington.

Global Database of Quotas for Women: <http://www.quotaproject.org/>.

Guidelines for Understanding, Adjudicating, and Resolving Disputes in Elections, ed. Chad Vickery, 2011.

The Gender Dividend: A Business Case for Gender Equality, UN Women, 2011.

Handbook for Monitoring Women's Participation in Elections, OSCE/ODHIR, 2004.

HIV and Disability: Capturing Hidden Voices, The World Bank and Yale University, 2004.

International Electoral Standards: Guidelines for reviewing the legal framework of elections, IDEA, 2002. http://www.idea.int/publications/ies/upload/electoral_guidelines.pdf. Methodological Guide on Electoral Assistance, European Commission, 2006.

Independent Election Commission of Afghanistan website: <http://www.iec.org.af/2012-05-29-07-06-38/gender-mainstreaming>.

Nepal Demographic Health Survey, 2011: <http://dhsprogram.com/pubs/pdf/FR257/FR257%5B13April2012%5D.pdf>.

Online electoral cycle, International IDEA: <http://ecycle.idea.int/>.

Pakistan: Final Report, EU Election Observation Mission, 2013. http://www.eueom.eu/files/pressreleases/english/eu-eom-pakistan-2013-final-report_en.pdf.

Political Finance and Gender Equality: IFES White Paper, Lolita Cigane and Magnus Ohman, Forthcoming.

Realizing the Rights of Women and Girls with Disabilities, Leonard Cheshire, March 2014.

Report on Gender Mapping in the Field of Elections, UNDP Electoral Support Project (ESP), June 2010.

Rwanda: Women Hold Up Half the Parliament, case study, Elizabeth Powley, Women in Parliament: Beyond Numbers, Revised Edition, International IDEA 2005.

Strategic Planning for Effective Electoral Management, IFES, October 2011.

Systems with Separate Polling Stations for Women and Men, ACE – The Electoral Knowledge Network, 2013.

Training in Detection and Enforcement (TIDE), Enforcing Political Finance Laws Training Handbook, IFES June, 2005.

UN Women and Elections: Guide to Promoting the Participation of Women in Elections, March 2005. OSAGI and the Electoral Assistance Division of the Department of Political Affairs (EAD).

Voices: Global Program for Electoral Support, UNDP, 2011. http://www.undp.org/content/dam/undp/img/democraticgovernance/global_programme/Newsletter/VOICES2%20sept%202011.pdf.

Women in Election Administration: Analysis of Female Membership and Positions in Election Management Bodies in Central-Eastern Europe, the Balkans, Russia and Eastern Partnership Countries, IFES, 2014.

Women in National Parliaments, Inter-Parliamentary Union, 2014. <http://www.ipu.org/wmn-e/world.htm>.

Women with Disabilities, United States Agency for International Development, 2012. <http://www.usaid.gov/what-we-do/gender-equality-and-womens-empowerment/women-disabilities>.



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.